„ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“

განმათავისუფლებელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2008 წ. მაისი * №17 * ფასი 1 ლარი

პასუხი ჩოჩიევს ოკიანის გალმიდან (საქართველო - სამხრეთ ოსეთი)

გვ. 4-6

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვითმარქვია ლიდერები

გვ. 17

ქეაბავაზაკ პოლიტიკოსთა ტრიუმფი

ლეილა კობაია

ნამდვილად არ ვიცი, როდის და სად დაიწყო ბატონ აკაკი ასათიანის კარიერა, მაგრამ კარგად მახსოვს, უზენაესი საბჭოს 1991 წლის აგვისტოს დასაწყისის სესიაზე დეპუტატმა ვაჟა ადამიამ, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი, უშიშროების აგენტობაში რომ ამხილა და სამხილის დასტურად, მთავლიტის ცენზორად მუშაობის საბჭოური ბიოგრაფია შეახსენა, ხოლო აგენტობის ფსევდონიმი - „малыш“-ი.

1991 წლის შემდეგ, - მიუხედავად იმისა, რომ შეიარაღებული სამხედრო-კრიმინალური გადატრიალებით დაამხეს ასათიანის თავმჯდომარეობით მოქმედი უზენაესი საბჭო, 87%-ით არჩეული პირველი პრეზიდენტი

გაგრძელება მე-2 გვ.

დასაწყისი 1 გვ. ზვიად გამსახურდია და ეროვნული მთავრობაც, — მისი პოლიტიკური კარიერა არ შეწყვეტილა; იგი დღემდე მედიდურად დგას პოლიტიკურ ავანსცენაზე და 21 მაისის არჩევნებით, პარლამენტში, კვლავ ტრიუმფალური შესვლისთვის ემზადება. 5 მაისს პოლიტიკურ თოქ-შოუს „PRIMETIME“-ს („პრაიმტაიმი“, რომელიც ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ით ორშაბათობით და ხუთშაბათობით გადის ეთერში) წამყვანმა ინგა გრიგოლიამ, დეპუტატობის კანდიდატ აკაკი ასათიანს, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასადმი ღალატის შესახებ გავრცელებული ხმები შეახსენა, რაზედაც ასათიანმა ჩვეული სიდინჯით და „დამაჯერებლობით“ უპასუხა: ეს სინამდვილეს ოდნავადაც არ შეეფერება, მე ჩემი პრეზიდენტის დავალებით ვმოქმედებდი, როდესაც გადატრიალებები ხდება, ხელისუფლების პირველი და მეორე პირები იყოფიან სხვადასხვა მიმართულებით. მე, რომ მეღალატა, როგორ ფიქრობთ, ეს, ბატონ ზვიადს შეუფასებელი დარჩებოდა? არც მაშინ და არც მომდევნო პირველ-ორ წელიწადს ჩემი ღალატის შესახებ ზვიადს არაფერი უთქვამს, ჩემი საქციელი ღალატად არ შეუფასებიაო. მე დღესაც ზვიადს წარმოვადგენ, მასთან ვარ და ასევე მე დიდ პატივს ვცემ შევარდნაძესო.

ასე, მკრეხელურად, დემაგოგიურად და ურცხვად იცრუა დეპუტატობის კანდიდატმა ჩვენ, არა ქვაბავაზაკ ასათიანის გასაწითლებლად (მას სირცხვილის გრძნობა არ გააჩნია და არაფერზე გაწითლდება), არამედ საზოგადოების ინფორმირებისათვის მოვახდენთ ციტირებას პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას შეფასებებისა ასათიანის მოღალატეობის შესახებ, რისთვისაც ვბეჭდავთ სრულ ტექსტს პრეზიდენტ:

მიმართვა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირისადმი

„1990 წლიდან საქართველოს ეროვნულ მოძრაობაში თვალსაჩინო როლს ასრულებდა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, რომელიც იმთავითვე დაუპირისპირდა მოსკოვის სუკ-ის მიერ შექმნილ ცრუ მონარქისტულ მოძრაობას საქართველოში. ამ კავშირის ლიდერი აკაკი ასათიანი აღიარებდა, რომ მოსკოვმა ეს ცრუ მოძრაობა შექმნა საქართველოში ჭეშმარიტად ეროვნულ ძალებთან დასაპირისპირებლად. ტრადიციონალისტები შევიდნენ „მრგვალ მაგიდაში“ და აცხადებდნენ, რომ მხარს დაუჭერდნენ მხოლოდ ლეგიტიმურ არჩევნებს და ამ გზით არჩეულ კანონიერ ხელისუფლებას. მათი პროგრამა და დეკლარაციები ყოველნაირად გამორიცხავდნენ კოლაბორაციონიზმს იმპერიულ ძალებთან, ისინი ემიჯნებოდნენ მოღალატე ცრუ პარტიებს, მხარს უჭერდნენ კანონიერ პარლამენტსა და პრეზიდენტს. ამან განაპირობა ჩემის მხრივ მხარდაჭერა თქვენი მოძრაობისა, აგრეთვე აკაკი ასათიანის კანდიდატურისა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე. ამასთან, 1991 წელს, ტრადიციონალისტთა კავშირის ყრილობაზე, მე ამირჩიეს ამ კავშირის საპატიო წევრად.

მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა იმპერიის მიერ ინსპირირებული პუტჩის დღეებში. ბ-ნი აკაკი ასათიანი მერყეობდა, ყოველნაირად ცდილობდა თავი აერიდებინა პუტჩისტი დეპუტატების დაგმობისათვის და ბოლოს საერთოდ გაეცალა ბრძოლის ველს ვითომდაც ავადმყოფობის საბაბით. შემდეგ იგი უეცრად გამოჩნდა ზუგდიდში, სადაც ხალხს მოუწოდებდა არ წასულიყვნენ კანონიერი ხელისუფლების დასახმარებლად და არ მიეღოთ მონაწილეობა ბრძოლებში. ასეთივე აგიტაციას ეწეოდა იგი ქუთაისსა და სხვა ქალაქებში. ამჟამად ცნობილია, რომ მას პუტჩისტებთან იდეური ნათესაობა აკავშირებდა, ხოლო უკანასკნელ ხანებში გამოიკვეთა მისი ალიანსი შევარდნაძის ნეოკომუნისტურ მაფიოზურ ხუნტასთან. ა. ასათიანი, ზ. ბოკუჩავა და სხვები დღეს ხუნტის ცრუ არჩევნების პროპაგანდას ეწევიან, თანაც ხალხის მხარდაჭერის მოსაპოვებლად აცხადებენ, რომ ისინი ვითომდაც მხარს უჭერენ კანონიერ პრეზიდენტს (ამგვარი მრავალწლიანი აპრობირებული მეთოდი გამოიყენა მან, როდესაც ინგა გრიგოლიას განუცხადა: მე კვლავ ზვიად გამსახურდიასთან ვარ, კვლავ ზვიადს წარმოვადგენო — **ლ.ც**.). ა. ასათიანმა, რომელმაც თავისი თავი გადამდგარად გამოაცხადა, ხოლო კანონიერი პარლამენტი დაშლილად, (1992 წლის 18 იანვარს კინოს სახლში შეკრებისას — **ლ.ც**.), დღეს ყოველნაირად ცდილობს ხელი შეუწყოს მაფიოზურ ხუნტას ცრუ პარლამენტის შეკოწიწებაში არალეგიტიმური არჩევნების გზით, თუმცა კარგად უწყის, რომ ნამდვილი არჩევნების დანიშვნა მხოლოდ კანონიერი პარლამენტის პრეროგატივაა.

ეს ყოველივე არის, აგრეთვე ღალატი ჭეშმარიტი მონარქისტული იდეისა, როგორც საქართველოს სამეფო ტახტის კანონიერმა მემკვიდრემ გიორგი (ხორხე) ბატონიშვილმა განაცხადა, საქართველოში მონარქია შეიძლება აღდგეს მხოლოდ კანონიერი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ხალხის ნებისა და კონსტიტუციის გადაწყვეტილებით. უზურპატორებს, პუტჩისტებს, ხალხის ნების აბუჩად ამგდებთ კი არა აქვთ უფლება თავისთავს უწოდონ მონარქისტები, ან ტრადიციონალისტები. დღეს სავსებით ნათელია, რომ ა. ასათიანის ტრადიციონალისტთა კავშირი გახდა კოლაბორაციონისტული ორგანიზაცია, რომელიც უპირისპირდება კანონიერ ხელისუფლებას. ამის გამო ვაუქმებ ჩემს საპატიო წევრობას თქვენს კავშირში და მოგიწოდებთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ეროვნული მოძრაობისა და ჭეშმარიტი კონსტიტუციური მონარქიზმის იდეალები, დასტოვოთ ცრუ ტრადიციონალისტთა რიგები და პროტესტი გამოუცხადოთ ანტიტრადიციონალისტ, პუტჩისტებთან და სახელმწიფო დამნაშავეებთან ალიანსში მყოფ თქვენს ლიდერს, როგორც მოღალატეს ეროვნული მოძრაობის და კანონიერი ხელისუფლებისას.

დაგმეთ შეთქმულება საქართველოს კანონიერი ხელისუფლებისა და ლეგიტიმური სახელმწიფო ტახტის წინააღმდეგ. შემოუერთდით ჩვენს რიგებს!“

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია
1992 წლის 21 ივნისი
(გაზ. „აღდგომა“, 10 ივლისი, 1992 წ.).

ახლა მოვიყვანთ ციტატას პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას 1993 წლის 19 იანვრის ვიდეომიმართვიდან ქართველი ერისადმი — ვიხსნათ საქართველო: „... მრგვალი მაგიდიდან ჩვენ გავრიცხეთ ისინი, ვინც ჩირქს სცხებდნენ მას. კერძოდ, გავრიცხეთ ე.წ. მერაბ კოსტავას საზოგადოება, რომელიც არცხვენდა ამ უდიდესი პიროვნების სახელს, გავრიცხეთ ცრუ ტრადიციონალისტები ასათიანის მეთაურობით“... ციტირებული ვიდეომიმართვა დაბეჭდილია მაშინ გამომავალ ეროვნული მოძრაობის გაზეთ „აღდგომაში“, №3 (31), 30 იანვარი, 1993.

გთავაზობთ კიდევ ერთ ამონარიდს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიმართვიდან „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი“, რომელშიც პრეზიდენტი წერს: „...რკონთან და თბილისის ზღვასთან ალიანსში მყოფი, კანონიერი პარლამენტის შიგნიდან ამფეთქებელი, დეკემბერ-იანვრის სისხლიანი პუტჩის დროს განერიდა დედაქალაქს, ვითომდაც ავადმყოფობის საბაბით, რათა დაერწმუნებინა დასავლეთ საქართველოს აბობოქრებული მოსახლეობა, პრეზიდენტსა და პარლამენტს არაფერი უჭირთ, ნუ წახვალთ მათ დასახმარებლადო“ და ა.შ. (გაზეთი „აღდგომა“, №7, 28 თებერვალი, 1993).

ზემომოყვანილი მიმართვები და ციტატები, კრებულების სახით *გაგრძელება მე-3 გვ.*

ამერიკელი დიპლომატები სეპარატისტების ბუნაგში

2008 წლის 10-11 მაისს აფხაზეთს სტუმრობდა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის დენიელ ფრიდის თანაშემწე მეთიუ ბრაიზა და აშშ-ს ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ აშშ-ს ტერიტორიაზე მოქმედებენ სეპარატისტული ძალები, რომელთა მიზანიცაა კალიფორნიის, ნიუ-მექსიკოს, ტეხასის ან სამხრეთ და ჩრდილოეთ დაკოტას შტატების ამ ფედერალური სახელმწიფოსგან ჩამოცილება, არსებობს შავკანიანთა არა ერთი მოძრაობა, რომლებიც ამერიკელი ზანგების ეროვნულ თვითგამორკვევას მოითხოვენ. ისმის კითხვა: აშშ-ს ოფიციალური პირები თუ აწარმოებენ მათთან რაიმე სახის პოლიტიკურ მოლაპარაკებებს? თქმა არ უნდა, რომ არა! სეპარატისტებსა და „ეროვნული თვითგამორკვევის“ მოსურნეებს მხოლოდ აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიურო „ესაუბრება“ და ისიც ხელბორკილდადებულებს და გისოსებს მიღმა. ამერიკელების ვიზიტს უმალ (13 მაისს) მოჰყვა, გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის (ელჩი), ირაკლი ალასანიას საიდუმლო ვიზიტი აფხაზეთში, რომელმაც იმავე დღეს, უკომენტაროდ დატოვა საქართველო. 15 მაისს კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ გაერომ მიიღო რეზოლუცია აფხაზეთში ქართველი დევნილების დაბრუნების მოთხოვნის შესახებ, მაგრამ რეზოლუცია მხოლოდ რეკომენდაციული ხასიათისაა, რომელსაც უკვე „თანხმობით“ გამოეხმაურა აფხაზეთის სეპარატისტი ლიდერებიც(?!).

ამგვარი მყიფე რეზოლუციით, საპარლამენტო არჩევნების წინ, სააკაშვილმა, ამერიკის დახმარებით ცრუ აჟიოტაჟი შექმნა აფხაზეთში დევნილების ვითომდაც დაბრუნების პროცესის დაწყებისა, რათა კვლავ უმრავლესობით მოვიდეს პარლამენტში (**რედ.**).

დასასრული გამოსცა გელა სალუაშვილმა და დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია თავად წაიკითხოს იგი: „1992-1993“, გვ, 20-21. „ორმოცი მიმართვა სრულიად საქართველოს მოსახლეობისადმი“, გვ. 49, 51.

დღემდე გამოურკვეველია წარმომავლობა იმ დიდძალი ფინანსებისა, რომლითაც აკაკი ასათიანმა, სწორედ სამხედრო გადატრიალების შემდგომ, იმ დაღმავლობისა და სიდუხჭირის წლებში (1993-95 წწ) ვერცხლის ქუჩის პერპენდიკულარულ აკოფიანის (ამჟამად სულთნიშნის) ქუჩა 1-ში შეიძინა ახალაშენებული,. მაგრამ დაუსრულებელი ორსართულიანი სახლი, რომელსაც მესამე სართულიც დააშენა და რომელიც ამჟამად არათუ ტოლს უდებს „თიბისი ბანკის“ პრეზიდენტის მამუკა ხაზარაძის სახლს (რომელსაც ზურგს უმაგრებს ასათიანის საცხოვრისი), არამედ სიდიდითა და მშვენიერებით აღემატება კიდეც მას (იხ. სურათზე). რუსეთის ემისრისა და საქარ-

თველოს მტრის ე. შევარდნაძისადმი მადლიერების მუდმივად გამოხატვა ასათიანის მიერ, უთუოდ, მისგან მსუყე თამასუქების მიღებით უნდა იყოს განპირობებული. ვიდრე სრულყოფილი პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება არ მიეცემა დეკემბერ-იანვრის სამხედრო-კრიმინალურ გადატრიალებას და კონსტიტუციური ხელისუფლების დამხობას, ა. ასათიანის მსგავსი ქვაბავაზაკები კვლავაც ტრიუმფალურად და მედიდურად იბოგინებენ ქართულ პოლიტიკურ ავანსცენაზე, კვლავაც საფრთხეს შეუქმნიან ქართულ სახელმწიფოებრიობას, კვლავაც ჭირსა და უბედურებას მოჰკერძებენ ქართველ ერს. დაუსჯელობის სინდრომი კი ახალ მოღალატეებს წარმოშობს ქართულ სახელისუფლო შტოებში.

1992 წლის 13 მარტს ქ. გროზნოში (ჩეჩნეთის რესპუბლიკა — იჩქერია) გამართულ სესიაზე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რითაც პოლიტიკური შეფასება და სამხედრო გადატრიალების კვალიფიკაცია მისცა 1991 წლის დეკემბრისა და 1992 წლის იანვრის მოვლენებს და სამხედრო საბჭოს (სიგუა, იოსელიანი, კიტოვანი, ყარყარაშვილი) მოქმედებას უწოდა ხელისუფლების უზურპაცია, ხოლო უზურპატორთა მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება გამოაცხადა ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ. გადატრიალების ორგანიზატორებს უწოდა სამშობლოს მოღალატეები და საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს მათდამი დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდა.

საჭიროა ზემოხსენებული აქტის საფუძველზე, მომავალმა პარლამენტმა მისცეს პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასებაც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების დამხობას.

რაც შეეხება 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებს, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ, ფორსმაჟორული ვითარების პროვოცირებით, ცალსახად შექმნა სამართლებრივი წინაპირობა, სააკაშვილის ნაცმოძრაობა ამოვარდნილიყო საარჩევნო სიიდან (საზოგადოებას შევახსენებთ, რომ განაწყენებულმა ბურჯანაძემ 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებში კენჭისყრაზე უარი ოფიციალურად განაცხადა 21 აპრილს 18 სთ-სა და 17 წუთზე ანუ მაშინ, როდესაც ცსკ-ოში პარტიათა რეგისტრაციის დრო ამოწურული იყო, ხოლო ნაცმოძრაობას, ბურჯანაძის მიზეზით, სიების ფორმირება დაუსრულებელი ჰქონდა). ბურჯანაძის ქმედება გათვლილი და დიპლომატიური გზავნილი იყო ოპოზიციისადმი, რომელსაც მან სრული კარტბლანში მისცა, რათა მტკიცე და მძლავრი საპროტესტო გამოსვლებით მიეღწიათ ნაცმოძრაობის სიიდან ამოღებას, მაგრამ ოპოზიციამ იგი ვერ გამოიყენა; ვერც ამ შემთხვევაში გამოავლინა გამჭრიახობა და სიმტკიცე, რითაც საპარლამენტო უმრავლესობაში მოსვლის რეალური შანსი ხელიდან გაუშვა.

თამაში „ამოუცნობი წარსულით“ საეჭვო აწმყოსათვის

პასუხი ჩოჩიევს ოკეანის გაღმიდან

(საქართველო-სამხრეთ ოსეთი)

2006 წლის 27 მარტს სამხრეთ ოსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერმა ბორის ჩოჩიევმა საინფორმაციო სააგენტო REGNUM-ის შემწეობით განახორციელა ექსკურსი საქართველოს ისტორიაში, წამოაყენა მთელი რიგი თეზისები, რითაც ამ საგნით დაინტერესებულ პირთა შორის გამოიწვია ცხოველი რეაქცია. რამდენადაც ჩოჩიევის ქართველი კოლეგები ცდილობენ თავი შეიკავონ ისტორიულ თემებზე საუბრისაგან, რადგან მათი განაცხადით, პოლიტიკოსები და სახელმწიფო მოხელეები უნდა ხელმძღვანელობდნენ მოქმედი ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი ბაზისით და არა ამა თუ იმ ისტორიული ინტერპრეტაციებით, სამხრეთ ოსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერი წამოჭრილ საკითხებს საინფორმაციო სააგენტო REGNUM-ის კორესპონდენტის თხოვნით კომენტარი გაუკეთა ენდრიუ ანდერსენმა პოლიტოლოგიისა და ისტორიის პროფესორმა, კავკასიის სპეციალისტმა კალგარის უნივერსიტეტთან არსებული სამხედრო-სტრატეგიული კვლევების ცენტრიდან.

„მამა ყოველთვის ამბობდა: „პირველ რიგში გაანადგურე არქივები!“ ა. შვარცი, „მოკლა დრაკონი“.



რამდენიმე ხნის წინ ედუარდ კოკოითიმ, ამჟამად „სამხრეთ ოსეთის არმიად“ წოდებული უკანონო შეიარაღებული ფორმირებებისა და მათ მხარდამჭერი რუსეთელი „მშვიდობისდამცველების: მიერ კონტროლირებად, საქართველოს შიდა ქართლის რეგიონის ტერიტორიის მცირე ნაწილზე არსებული თვითგამოცხადებული „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ მეთაურმა გააკეთა განცხადება, რომ განზრახული აქვს მიაღწიოს აღნიშნული ტერიტორიის რუსეთის ფედერაციასთან შეერთებას.

ამგვარი ინიციატივის საფუძვლად კოკოითიმ მოიყვანა რაღაც საიდუმლო „ისტორიული დოკუმენტი 1774 წელს ერთიანი ოსეთის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შესახებ“.

გასაკვირი არაა, რომ მსოფლიოში არავისგან არაღიარებული „რესპუბლიკის“ „ლიდერის“ ამგვარი განაცხადის საპასუხოდ კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ გიორგი ვოლსკიმ ყველას, ვისაც კოკოითის განცხადება შეიძლება შეეხოს, შეახსენა, რომ 1774 წელს საქართველოს ტერიტორიაზე არც მითიური „ერთიანი ოსეთი“ და არც რაიმე სხვა ოსეთი არ არსებობდა. როგორც ჩანს ბატონ ვოლსკის ამ განცხადებამ, როგორც საქართველოს ასევე რუსეთის ტერიტორიაზე კოკოითის მომხრეებში დიდი მრისხანება გამოიწვია. კერძოდ, „სამხრეთ ოსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერმა“ ბორის ჩოჩიევმა ფრიად საინტერესო პასუხი წარმოადგინა, რომელიც დაწვრილებით გამოაქვეყნა საინფორმაციო სააგენტო REGNUM-მა სათაურით „სამხრეთ ოსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერმა განახორციელა „სამამულო ისტორიაში უწიგნურობის ლიკვიდაცია“.

უწიგნურობის ლიკვიდაცია (ტერმინი შემოღებულ იქნა XX საუკუნის 20-იან წლებში საბჭოთა კავშირში) — რა თქმა უნდა, ღირსეული და საჭირო საქმეა, განსაკუთრებით, თუკი უწიგნურ ადამიანს ანათლებს ისეთი გურუ, რომელიც თავად არაა უწიგნური. სამწუხაროდ, თანამედროვე მსოფლიოში ისტორიაში გაუნათლებელი ადამიანები საკმაოდ გამრავლდა, ამის მიზეზი არის ის ტენდენცია, რომელიც წინა საუკუნის შუა პერიოდში, მთელ რიგ ქვეყნებში გამოვლინდა, როდესაც ყველა სასწავლო დაწესებულებაში ისტორიის სწავლება მნიშვნელოვნად შემოკლდა, ზოგიერთ პროგრამაში კი საერთოდ ამოღებულ იქნა. ამ გადაწყვეტილების მიმღებები ამ ქმედებას იმით ამართლებდნენ, რომ ისტორია დღევანდელობისგან ძალიან მოწყვეტილია და არ ღირს, რომ მის შესწავლაზე დრო და საშუალებები დაიხარჯოს., განსაკუთრებით „გაუმართლა“ საქართველოს ისტორიას და სხვა იმ ხალხებს, რომლებიც აღმოჩნდნენ სსრკ-ს შემადგენლობაში: დასავლეთში მათი ისტორია უბრალოდ ამოიშალა ყველა პროგრამიდან, რადგან ითვლებოდა რომ ეს ხალხები ველარასოდეს გამოვიდოდნენ რუსეთის ფრთის ქვემოდან, რადგან მათ არ ჰქონდათ მომავალი, როგორც დამოუკიდებელ ერებს, შესაბამისად მათი წარსულის შესწავლა და ხსენებაც კი არ არის ღირებული. სსრკ-ში თვლიდნენ, რომ ხალხების მიერ საკუთარი ისტორიის ცოდნა „ურღვევი კავშირის“ მონოლითურობას ემუქრება. შედეგად ჩვენ მივიღეთ ისტორიაში მცირედგანათლებული რამდენიმე თაობა, ბევრ შემთხვევაში კი აბსოლუტურად გაუნათლებელი პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, ისევე როგორც საზოგადოების ბევრი რიგითი წევრი. ბოლო ათწლეულებში დიდი რაოდენობით გამოჩნდნენ ავტორები, რომლებიც ქმნიან სრულიად ახალ ვირტუალურ წარსულს, სარგებლობენ რა რეალური წარსულის შესახებ ცოდნის პრაქტიკულად არარსებობას, როგორც პუბლიკაში, ასევე მოთავეებში, წარსული გახდა „განუსაზღვრელი“.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ბატონ ვოლსკის ისტორიულ უცოდინრობაში დადანაშაულება უსაფუძვლოდ მიგვაჩნია, რადგან მისი ნათქვამი სრულად შეესაბამება ჭეშმარიტებას. 1774 წლის დამდეგს რუკაზე არ არსებობდა არა მარტო ბატონ კოკოითის და ექსპანსიონისტური პროპაგანდის სხვა რუპორების მიერ ნახსენები „ერთიანი ოსეთი“, არამედ საერთოდ რაიმე ოსეთი. ოსური ენის სხვადასხვა დიალექტზე მოლაპარაკე ადამიანები, რა თქმა უნდა, ცხოვრობდნენ დიდი კავკასიური ქედის ორივე ფერდობზე, მაგრამ ამჟამინდელ ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე (ალაგირის, ქურთათის, თაგურიისა და დიდგორის უდიდესი ნაწილი — ისტორიული რაიონი) მცხოვრები ოსები იმყოფებოდნენ ყაბარდოელი ფეოდალების ხელისუფლების ქვეშ, მათი მიწები კი, შესაბამისად ყაბარდოს ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც თავის მხრივ, ფორმალურად ყირიმის ხანს — ოსმალეთის იმპერიის ვასალს ემორჩილებოდა. თვითგამოცხადებული „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ ამჟამინდელი ტერიტორია, ასევე ისტორიული რაიონი თუალია-დვალეთი (თუალია დღეს ჩრდილო ოსეთი-ალანიის შემადგენლობაშია) შედიოდა აღმოსავლეთ ქართული ქართლ-კახეთის სამეფოში (სწორი იქნებოდა მისი სამეფო წოდება) და არანაირად არ იყო გამოყოფილი შიდა ქართლის მხარიდან. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მათ აღმოსავლეთ საქართველოსაგან დამოუკიდებლად არასდროს არ უარსებიათ. წარმოდგენილი დებულება დასტურდება წარსულის ყველა სერიოზული ისტორიკოსის მიერ და არ დგას ეჭვქვეშ, გარდა ბოლო წლებში გაუგებარია საიდან გამოჩენილი „ისტორიკოსების“ მიერ, რომელთაც, თუმცა არ შეუძლიათ დაამტკიცონ საკუთარი „რევოლუციური“ შეხედულებები რაიმე მტკიცებულებებით (თუმც სჭირდებათ კი რაიმე მტკიცებულებები პოლიტიკურ ავანტიურისტებს?).

მაშ, რა შევიდა 1774 წელს რუსეთის იმპერიაში და რომელი დოკუმენტების საფუძველზე? ამ შეკითხვაზე იოლად სცემს პასუხს ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულებით დასრულებული 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის არქივები. რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომში გამარჯვებულ რუსეთსა და თურქეთს შორის ქუჩუკ-კაინარჯის სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო 10 (21) ივლისს სოფელ ქუჩუკ-კაინარჯში. ხელშეკრულებამ დაადგინა რუსეთის საზღვარი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მდინარე ყუბანზე. ხელშეკრულებამ ოსმალეთის იმპერიას ჩამოაცილა ყირიმის სახანო, რომელიც დამოუკიდებლად გამოცხადდა, რუსეთს მიუერთდა ზღვის სანაპიროს ნაწილი ციხე-სიმაგრეებით: ქერჩი, ენიყალე, კინბურნი, შეინარჩუნა რუსეთის სამფლობელოში დიდი და მცირე ყაბარდო, რუსეთის სავაჭრო გემებს მიანიჭა შეუნარჩუნა უფლება თავისუფლად ეცურათ შავ ზღვაში და თავისუფლად გაევლოთ შავი ზღვის სრუტეები, მოლდოვასა და ვალახიას მიეცათ ავტონომია და ეს სამთავროები გადავიდნენ რუსეთის მფარველობაში.

(ულიანიცკი გ.ა. „დარდანელა, ბოსფორი და შავი ზღვა XVIII საუკუნეში“, მოსკოვი, 1883;

დრუჟინინა ე.ი., ქუჩუკ-კაინარჯის ზავი 1774; მისი მომზადება და დადება).

შესაბამისად, არავითარ ოსეთზე, არც გაერთიანებულზე და არც გაყოფილზე — ხელშეკრულებაში საუბარი არაა. არსე-

გაგრძელება მე-5 გვ.

დასაწყისი მე-4 გვ.

ბობდა დიდი და მცირე ყაბარდო, რომელშიც, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, შედიოდა ოსებით დასახლებული მიწების ნაწილი. შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილესთან სწავლების ჩატარება სრულიად ზედმეტი ჩანს. რჩება ის რომ გავერკვეთ „სწავლებაგავლილი“ ბორის ჩოჩიევის ისტორიულ სწავლებაში. რა გაკვეთილის მიცემა შესძლო მან ქართველი ოპონენტისადმი? თუ ბორის ელიოზის ძის ოფიციალურ საიტზე არსებულ ბიოგრაფიაში ჩავიხედავთ, მხოლოდ შეიძლება გაგვიკვირდეს, თუ სად და როდის დაეუფლა იგი დეტალურ ცოდნას საქართველოსა და ოსი ხალხის ისტორიაში. ნამცეცა და არაღიარებული „სახელმწიფოს“ „ვიცე-პრემიერმა“ კარიერა საოლქო კომუნალური მეურნეობის მუშისა და კომკავშირის კომიტეტის მდივნობიდან დაიწყო, შემდეგ იგი ალკკ საოლქო კომიტეტში მუშაობდა, პარალელურად ეუფლებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე, შემდგომ სსრკ-ს დაშლამდე, პარტიულ სამუშაოზეა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის აპარატში. საქმიანობის აღნიშნულ სფეროთაგან არც ერთი არ გულისხმობდა და არ მოითხოვდა ისტორიის ცოდნას — მით უფრო საქართველოს ისტორიის ცოდნას. საერთოდაც ამგვარ სამუშაოზე ისტორიის შესწავლისთვის დრო სრულიად მცირე რჩებოდათ, მაგრამ ყველაფერი ხდება. მოდით ჩავთვალოთ, რომ ბორის ელიოზის ძე პოულობდა დროს და ისტორიას დამოუკიდებლად შეისწავლიდა. თან იმდენად ღრმად და დეტალურად, რომ დღეს შეუძლია სხვებსაც ასწავლოს. რაში განგვანათლებს იგი ჩვენ?

ბატონი ჩოჩიევი სწავლებას იწყებს ს. რობაქიძის — 1917 წლის საქართველოს გეოგრაფიის სახელმძღვანელოს ავტორის ციტატით, რომლის მიხედვითაც „ოსეთი არ წარმოადგენს საქართველოს ნამდვილ ნაწილს“. მაგრამ საკითხი თუ რა წარმოადგენს რის „ნამდვილ ნაწილს“ ძალზე ფილოსოფიურია დღეს არსებული ფრიად მიწიერი პრობლემებისა. დღეს რთულია სათანადოდ შევაფასოთ ასი წლისწინანდელი პროვინციული სკოლის სახელმძღვანელოდან ამოღებული, კონტექსტიდან ამოგლეჯილი ციტატა. სამაგიეროდ, თუ ჩავიხედავთ ვ. ალლენის, დ. ლანგის, ან თუნდაც პ. იოსელიანის საქართველოს ისტორიის ფუნდამენტალურ ნაშრომებში, ან ზედაპირულად მაინც დავხედავთ 1801 წელს რუსეთთან მიერთებამდე და მიერთების შემდეგ საქართველოს ადმინისტრაციულ რუკას, ჩვენ მასზე საქართველოს გარეთ არსებულ ვერავითარ „სამხრეთ ოსეთს“ ვერ ვნახავთ. 1801 წელს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, ისევე როგორც თბილისის გუბერნიის საზღვარი, გადიოდა დაახლოებით იქვე, სადაც 1918 წელს გაიარა დამოუკიდებელი საქართველოს, ხოლო 1921 წელს საბჭოთა საქართველოს საზღვარმა. აქვე გადის ოფიციალურად აღიარებული საქართველოს საზღვარი დღეს. საზღვრის მცირეოდენი შეცვლა აღინიშნებოდა მხოლოდ დვალეთი-თუალიის მიმართულებით, რომლის უდიდესი ნაწილი საბოლოოდ აღმოჩნდა თერგის ოლქში, შემდგომ მთიელთა და ჩრდილო ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში. მაგრამ ამ ტერიტორიაზე თანამედროვე საქართველო პრეტენზიას არც აცხადებს. რადგან კარგად ვაცნობიერებთ რომ, წარსულში გამოცემული სამეცნიერო ნაშრომები და რუკები ძალიან უშლიან ხელს, ვისაც სურს შექმნას ახალი წარსული ისტორიის გადაწერით, ჩვენ იძულებულები ვართ მოვახდინოთ შედეგის კონსტატირება, რომ თუკი აღნიშნული შრომები და რუკები განადგურდება მთელს რუსეთში, ისინი დარჩებიან მსოფლიოს სხვა ნაწილებში.

შემდგომ ბატონი ჩოჩიევი წარმოგვიდგენს ერთ ძველთაგან ჰიპოთეზას, რომლის მიხედვით ქართველების წინაპრები სამხრეთ კავკასიაში მესოპოტამიიდან მოვიდნენ, რა ვუყოთ, ამ ჰიპოთეზასაც აქვს არსებობის უფლება, ისევე როგორც ჰიპოთეზას იმის თაობაზე, რომ ბალტო-გერმანულ-სლავური ხალხები ინდოეთიდან არიან მოსულნი. მაგრამ ეს თუ მართლაც იყო, ეს იყო ძალიან დიდი ხნის წინ, მას არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს, გარდა მეცნიერთა სავარჯიშოსი. ფრიად გასართობად წარმოგვიდგება ჩოჩიევის მიერ 1917 წელს გადმოცემული რომელიღაც გაზეთიდან ციტირებული ფრაზა, რომ ახლო აღმოსავლეთიდან მოსულ ქართველებს ალანებმა მისცეს კულტურა და ასწავლეს სამხედრო საქმე. გასართობია რადგანაც, თუკი ქართველების წინაპრები ისტორიამდელ პერიოდშიც მართლაც იყვნენ მიგრანტები, ლაპარაკი ამ დროში „ალანებზე“ იქნებოდა სრულიად არაპროფესიული ისტორიული თვალსაზრისით. რადგან იმ დროს ოსების ჰიპოტეტური წინაპრების დროს, ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრობდნენ არა ალანები, არამედ სკვითები და სარმატები. სკვითურ-სარმატული ტომები (აღსანიშნავია, რომ დღესაც გაურკვეველია საიდან მოსულნი) ამ დროს, ჩრდილოეთ კავკასიის გარდა, აკონტროლებდნენ თანამედროვე რუსეთის სამხრეთს და მთელს უკრაინას (აქედან ხომ არ გამომდინარეობს ის, რომ ოსეთს უნდა მიუერთდეს თუნდაც უკრაინის ის ოლქები, რომელნიც მხარს უჭერენ იანუკოვიჩს?), მაგრამ უნდა ითქვას, რომ სიკვითები კი გადადიოდნენ, სხვა ხალხებთან სამხრეთ კავკასიაში, მაგრამ არასდროს არავითარ ტერიტორიას არ აკონტროლებდნენ კავკასიის დიდი ქედის სამხრეთით. საერთოდ მსოფლიოში ხალხთა გადასახლებები მუდმივად ხდებოდა, მაგრამ რომელიმე ტერიტორიაზე რომელიმე ტომის ადამიანების ცხოვრება ყოველთვის არ ნიშნავდა ამ ტომის გაბატონებას მოცემულ ტერიტორიაზე. ძველქართული სახელმწიფოები კოლხეთი და იბერია სამხრეთ კავკასიაში დაფიქსირებულია ჯერ კიდევ ძველი რომის ისტორიკოსების მიერ მათი საზღვრების საკმაოდ ზუსტი აღწერით, ისევე როგორც სხვა ქართველური (ქართველთა წინაპრების მონათესავე) ტომების სახლობა მომიჯნავე ტერიტორიებზე, რომლებიც ამ სახელმწიფოში არ შედიოდნენ. არც ერთი ძველი ჟამთააღმწერელთაგანი არანაირ სკვითთა სახელმწიფოებრივ წარმონაქმნის შესახებ არანაირ ცნობას არ იძლევა თანამედროვე „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ ტერიტორიაზე, რომელიც იმ დროს იყო იბერიის ნაწილი, იმ მცირე უბნების გამოკლებით, რომელიც კოლხეთის შემადგენლობაში შედიოდა.

ბატონი ჩოჩიევი აგრძელებს მკითხველის მამობრივად და მოძღვრას, ახსენებს რა ოსთა (ამჟამად უკვე ალანების ანუ როგორც მათ ქართველები უწოდებდნენ ოსების) როლს საქართველოს ისტორიის გვიანდელ პერიოდში — ადრინდელი შუა საუკუნეებიდან XVIII საუკუნემდე. ნუ ჩავეძიებით ჩოჩიევის მიერ მოყვანილი იმ მხედართმთავრებისა და მეომრების ბიოგრაფიების დეტალებს, ვის გმირობამაც საქართველოს მისცა გაბატონებული სახელმწიფოს პოზიცია აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში XII საუკუნის პირველ მეოთხედამდე, სანამ რეგიონში კატასტროფა არ მოხდა მონღოლ-თათართა ლაშქრობის შედეგად, როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრიობა და ქართველი ერის არსებობა საფრთხის ქვეშ იდგა. საქართველოს ეროვნული გმირების (ისევე როგორც სხვა....) ეთნიკურ წარმომავლობაზე სპეკულირება სიმდაბლეა, ხოლო ყველა 300 არაგველის ოსად გამოცხადება სიბრიყვეა. ნათელია, რომ საქართველოს გმირთა შორის არცთუ ცოტა იყო ოსური წარმოშობის ადამიანები, ეს არცაა გასაკვირი რადგან კავკასიის სამხრეთ ფერდობზე გადმოსახლებული ოსები ისტორიულად ხდებოდნენ საქართველოს სახელმწიფოებრიობის ორგანული ნაწილი. საქართველოს გმირთა შორის იყვნენ სხვა წარმოშობის ადამიანებიც ქურთები, არაბები, ყივჩაღები, თათრები, იტალიელები და სკანდინავებიც კი. ის, რომ თამარ მეფის ჯარში მსახურობდა მეომარ ვიკინგთა რაზმი, ნიშნავს იმას, რომ დღეს შვედეთს საქართველოს რაღაც ნაწილი ეკუთვნის? ვფიქრობთ რომ არა!

გვახსენდება პოლონეთის „მამა-აღმდგენელის“, მარშალ პილსუდსკის ერთ-ერთი გამოსვლა 1920 წელს. ამ სიტყვაში მარშალმა გაიხსენა საკუთარი ხალხის წარსული ბრძოლები, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ გერმანული, ებრაული, უნგრული, უკრაინული, ლიტვური, თათრული, სომხური და სხვა წარმოშობის ადამიანები, მან ხაზი გაუსვა, რომ ყველა მათგანი პოლონეთის შვილი იყო, მათ უნდა უმადლოდეს იგი თავის არსებობას. განა ეს ფრაზა არ მიესადაგება საქართველოს სხვადასხვა წარმოშობის შვილებს, მათ შორის ოსებსაც, ვისთვისაც საქართველო გახდა სამშობლო, რომლისთვისაც ისინი იბრძოდნენ და სწირავდნენ სიცოცხლეს? მაგრამ ჩვენ მიმტევებლები უნდა ვიყოთ ბორის ელიოზის ძისადმი: მისი ბრალი არ

დასასრული მე-6 გვ.

საქართველოს ნაციონალური რესპუბლიკის პრეზიდენტს,
ბატ. მიხეილ სააკაშვილს „მაგარიას“
საქართველოს ნაციონალური რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ბატ.
ლადო გურგენიძეს დიდმოურავიანს
საქართველოს ნაციონალური რესპუბლიკის
ვარდოსან მინისტრებს
საქართველოს ნაციონალური რესპუბლიკის ცსკ-ის თავმჯდომარეს, მის უსიაფანდესობას
ლევან თარხნიშვილ-გამყალბებელს

საიქიოს ქართული სექტორის მობინადრეთა ღია წერილი

ღრმად პატივცემულო პრეზიდენტო, ბატონებო და ქალბატონებო, ყოველთვის მოუთმენლად ველით, ჩვენს სამშობლოში არჩევნების მოახლოებას, რადგან ამ პერიოდში ჩვენსას დავანებულ მყუდრო ცხოვრებას სიხარულისა და ხალისის ნიავი დაუბერავს, რომელსაც ჩვენთან თქვენს მიერ გამოგზავნილი საარჩევნო მოსაწვევები მოაქვს. მაშინ, როდესაც ბევრი ჩვენგანის მანდ დარჩენილი საკუთარი ოჯახის წევრებს აღარ ვახსოვართ, ამ დროს მაინც თქვენ არ გვივიწყებთ, მაგრამ თქვენს პატივისცემასა და ყურადღებას სათანადოდ ვერ ვაფასებთ, სატრანსპორტო მიმოსვლის არარსებობის გამო, ვერ ვესწრებით ამ დიდ დღესასწაულსა და მოვალეობას – არჩევნებს. მაგრამ ამ ღია წერილით გამოვხატავთ თქვენდამი მხარდაჭერასა და თანადგომას ხმის მიცემის დროს, ამ მინდობილობით გადმოგცემთ უფლებამოსილებას, რათა ჩვენი საარჩევნო ბიულეტენები ჩაუშვათ საარჩევნო ყუთებში თქვენს სასარგებლოდ. გვიგულეთ მუდამ თქვენს ამომრჩევლებად. ამავე დროს გვსურს გამოვთქვათ ჩვენი გულისტკივილი და შენიშვნა ერთი გარემოების გამო. ჩვენ გვაკლია ის სიხარული და ბედნიერება, რასაც განიცდიან საქართველოში მანდ დარჩენილი ამომრჩევლები წინასაარჩევნო შეხვედრებით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებთან. იმედია, გაითვალისწინებთ ჩვენს სურვილსაც და გაგვახარებთ თქვენი სტუმრობით.

ჩვენ გავიმარჯვებთ!

ვაშა! მადლობა მიშას!

მადლობა მთავრობას და პარტიას!

ღია წერილი წაკითხული და ერთხმად მიღებულია საიქიოს ქართული სექტორის საუკუნო მობინადრეთა საერთო კრებაზე.

წერილის ასლები ეგზავნებათ ინტერგანი ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო უფლებათა დაცვის ორგანიზაციებს, აგრეთვე მიშას მეგობარი ქვეყნებიდან წარმოგზავნილ საერთაშორისო მოქეიფე დამკვირვებლებს თარგმანებით.

საიქიოს ქართველი სექტორის მობინადრეთა სახელით – ამავე მუნიციპალიტეტის გამგებელი ***ვარდან ნაციონალიშვილი****, გარდაცვლილი 1924 წლის 21 იანვარს.*

P.S. *ჩვენი გულითადი მოკითხვა და გულწრფელი მადლობა გადაეცით საქართველოში ამ ჩინებული ტრადიციის დამკვიდრებელს, მიცვალებულთა დიდ მოამაგეს და მეოხეს პრეზიდენტყოფილ ბატონ ედუარდ ამბროსოვიჩს.*

ჩვენი მისამართია: საიქიოს ქართული სექტორი, ვარდების რევოლუციის ავენიუ № 5.

ვარდობისთვის 5, 2008 წელი.

დასაწყისი მე-4-5 გვ.

არის, რომ საბჭოთა დროში პარტიული და კომკავშირული ფუნქციონერების მომზადების პროგრამაში არ შედიოდა საბჭოთა ხელისუფლების მტრების პილსუდსკისა და სხვების გამოსვლები.

გვსურს ყურადღება გავამახვილოთ კიდევ ერთ ფაქტზე: თანამედროვე ოსების წინაპრები, რომლებიც კავკასიის დიდი ქედის სამხრეთით სახლობდნენ თავიანთ შვილებს აგზავნიდნენ საქართველოს დასაცავად, რათა ეს ქვეყანა გაძლიერებული და განმტკიცებული ყოფილიყო. რატომ ხდება, რომ ზოგიერთი ამ გმირის შთამომავალთაგანი ასეთი მონდომებით ცდილობს ეს საქართველო დაანგრიონ? ჩვენ, რა თქმა უნდა, არა ვართ მთის ადათების ბრმად მიმდევრები, მაგრამ არის აზრი, რომ კავკასიის ხალხთა შორის (მათ შორის, ოსებში) მიღებულია უფროსთა პატივისცემა, მით უფრო საკუთარი წინაპრების პატივისცემა. ზოგიერთი ოსი ავანტურისტის ამჟამინდელი ქცევა ამ მხრივ არ შეიძლება არ იწვევდეს გაკვირვებას.

შემდგომ ჩოჩიევი აკეთებს კიდევ ერთ დიდ ისტორიულ განცხადებას: „საქართველოსთვის რთულ დროს რუსეთთან შეერთება ნებაყოფლობით მოხდა, სსრკ-ში შესვლაც უბრალო ხალხის სურვილი იყო, თუმც ახლადმოვლენილი „პატრიოტები“ ამას „ანექსიას“ უწოდებენ“. არა პატივცემულ ბორის ელიოზის ძეს ნამდვილად უღირს ცოტათი მაინც გაიცნოს საკუთარი სამშობლოს ისტორია. ეს რომ მას ადრე გაეკეთებინა გაიგებდა თუ რუსეთის იმპერიამ, როგორ დაარღვია უხეშად გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები, მის საწინააღმდეგოდ როგორ დაუთმო ირანს დასარბევად აღმოსავლეთ საქართველო, შემდგომ კი ანექსია გაუკეთა დასუსტებულ სამეფოს, ავად გამხდარი მეფითურთ, როგორ უწევდნენ წინააღმდეგობას დასავლეთ საქართველოს პატარა სამეფო-სამთავროები იმპერიას. გაიგებდა სახალხო აჯანყებებზე და ციმბირში გასახლებებზე. საბოლოოდ კი საბჭოთა რუსეთის თავდასხმაზე 1921 წელს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, რომელთანაც, სულ ცოტა ხნის წინ ხელი ჰქონდა მოწერილი სამშვიდობო ხელშეკრულებაზე, იმ თავგანწირულ ბრძოლებზე, რომელიც გამართა საქართველოს ჯარმა და მოლაშქრეებმა ყოველმხრივ შემოჭრილ წითელ არმიებთან და ქემალისტური თურქეთის ჯარებთან, რამეთუ მან ეს არ იცის მისი მხრიდან ისტორიული უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის ზრუნვა მაინც ძნელი იქნება.

„სამხრეთ ოსეთელი მინისტრი“ ალტერნატიულ წარსულში ექსკურსიებს შორის ისვრის ზოგიერთ ფრაზას, რომელიც დიდ გაკვირვებას იწვევს, ვიდრე ისტორიის უბრალოდ გადაწერა. რად ღირს თუნდაც ეს ფრაზა: „აი, ასე წერენ პატივცემული გიორგი ზურაბის ძევ, ნათელი ქართული გონებები, მათ ქართველებმა ხომ უკეთ იცოდნენ საქართველოს ისტორია, ვიდრე ჩვენ — არაქართველებმა, მათ ჩვენზე მეტად უყვარდათ საქართველო“. ამის წაკითხვისას, დროა ჩავფიქრდეთ — ღირდა კი ლანგისა და ალენის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოების შესწავლა? ორივე მათგანი ხომ ინგლისელი იყო, ჩოჩიევის შესაბამისად, მათ ცუდად ეცოდინებოდათ საქართველოს ისტორია, ვიდრე სამარშრუტო ტაქსის ნებისმიერი თბილისელ მძღოლს ან მეხინკლეს გორიდან, იმ პირობით ოღონდ, რომ ამ მეხინკლესა და მარშრუტკის მძღოლს შვიდი თაობა წინაპრები სულ წმინდა სისხლის ქართველები ეყოლებოდათ. ნამდვილად რომ ისტორიის შესწავლაში ეს ნოვატორული მიდგომაა.

და აი ეს დასკვნაც: „და ამოვიდა მზე საქართველოსთვის „ჩრდილოეთიდან“ (მაგრამ არა შევარდნაძის დროს), ხალხმა ამოისუნთქა, გაიმართა, ძონძები გადაყარა, კეპი დაიხურა“. ამის კომენტირება მართლაც რთულია. რა კეპია ასეთი, რომელიც მთელმა ხალხმა დაიხურა? ეგებ ეს ის კეპი „აეროდრომია“, რომელიც XX საუკუნის 20-იან წლებში შემოვიდა კავკასიაში და იყო იმჟამინდელი ინგლისური მოდის გავლენა. მაგრამ რა კავშირი აქვს მას 1801 წელთან?

ძალიან გვსურს გვჯეროდეს, რომ ხალხი საქართველოსა და მთელი კავკასიის ხალხები შესძლებენ გაერკვნენ შექმნილ ვითარებაში და არ აჰყვებიან ახალ პროვოკაციებს, რომლებიც კითხვის ქვეშ აყენებენ მათ მომავალს, მათი შთამომავლობის მომავალს, ამ ხალხებისადმი უცხო ჯგუფების ვიწრო ინტერესების სასარგებლოდ.

ენდრიუ ანდერსენი
კალგარის უნივერსიტეტის სამხედრო-სტრატეგიული კვლევების ცენტრი
(დაიბეჭდა მცირეოდენი შემოკლებით)

ახალი პარლამენტი და დემოკრატიული ცვლილებების კონცეფცია

საქართველოს უახლეს ისტორიაში წარმომადგენლობითი დემოკრატიის განხორციელება ყველაზე სტრატეგიული მნიშვნელობის პოლიტიკურ და სოციალურ ამოცანად რჩება.

1917 წლის 22 ნოემბერს საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო და ამ სტრატეგიული მნიშვნელობის პოლიტიკურმა აქტმა გზა გაუხსნა წარმომადგენლობით დემოკრატიას და 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებელი საქართველოს, როგორც გეოპოლიტიკური რეალობის აღდგენას.

1919 წელს არჩეულმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ 1921 წელს მიიღო იმ ეპოქის ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია. თითქოსდა გზა ხსნილი იყო ჩვენს ქვეყანაში წარმატებული წარმომადგენლობითი დემოკრატიის განვითარებისათვის, მაგრამ დ. ლოიდ-ჯორჯის ბრიტანეთის იმპერიასა და ვ. ლენინის საბჭოთა რუსეთს შორის გეოსტრატეგიული გარიგების შედეგად, საქართველომ, მოსკოვისა და ანკარას მხრიდან განიცადა კოორდინირებული სამხედრო ინტერვენცია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაახლოებით 80% ბოლშევიკების, ხოლო 20% ქემალისტების ხელში აღმოჩნდა. წარმომადგენლობითი დემოკრატიის განვითარებას პრაქტიკულად წერტილი დაესვა. თურქეთის რესპუბლიკაში ინკორპორირებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილი და მოსახლეობა ქემალისტური კონსტიტუციის — თურქეთის რესპუბლიკის ძირითადი კანონის შესაბამისად მოეწყო. ამ კონსტიტუციამ განსაზღვრა, რომ თურქეთის სახელმწიფო რესპუბლიკაა; რომ იგი წარმოადგენს რესპუბლიკურ, ნაციონალურ, სახალხო, ეთათისტურ, საერო და რევოლუციურ სახელმწიფოს, სადაც სახელმწიფო ენა არის თურქული, ხოლო სახელმწიფო ძალაუფლება მნიშვნელოვნად კონცენტრირებულია პრეზიდენტის ხელში, ამით წარმომადგენლობით დემოკრატიას წინ მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-სამართლებრივი და სოციალური ბარიერი აღემართა, რაც დღესაც არსებობს.

საბჭოთა საქართველო საბჭოთა კონსტიტუციის შესაბამისად სოციალისტურ, შემდეგ კი საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფო იყო, ეს, რა თქმა უნდა, ქაღალდზე, მაგრამ რეალობაში საბჭოთა საქართველო იმართებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დირექტივების საფუძველზე, საბჭოები ყველა დონეზე სახელმწიფო-პოლიტიკური სისტემის ყველაზე ფორმალურ სტრუქტურებს წარმოადგენდნენ, რეალური ძალაუფლება კონცენტრირებული იყო მონოპოლისტურ პოლიტიკურ ორგანიზაციის — კომპარტიის ხელში. წარმომადგენლობითი დემოკრატიის განვითარება დაბრკოლებული იყო. 1975 წლის ჰელსინკის შემაჯამებელმა აქტმა, სამართლებრივი ბაზისი მისცა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისათვის ბრძოლას აქტის ხელმომწერ ქვეყნებში, საბჭოთა საქართველოში ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას მიერ გაშლილი ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დამცავი მოძრაობა, ასევე მიმართული იყო პოლიტიკური მონოპოლიზმის წინააღმდეგ და წარმომადგენლობითი დემოკრატიის განხორციელებისკენ. ამის თვალსაჩინო დადასტურება ზვიად გამსახურდიას მიერ გაშლილი პოლიტიკური მოძრაობის შედეგად 1990 წლის 28 ოქტომბერს გამართული მრავალპარტიული არჩევნები, რამაც საქართველოს გზა გაუხსნა წარმომადგენლობითი დემოკრატიის განხორციელებისკენ. ეს კი არანაირად არ შედიოდა კორუმპირებული პარტიული და სამეურნეო ფუნქციონირების გეგმებში. ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის ოპერატიული განკარგვიდან, კონკურენციის გარეშე მისაკუთრების ინტერესმა ისინი ეროვნული ღალატის გზისკენ დასძრა. 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციურმა შეიარაღებულმა სახელმწიფო გადატრიალებამ ზურგში ლახვარი ჩასცა ჩვენს ქვეყანაში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიერ დაწყებულ დემოკრატიულ გარდაქმნებს, ქრისტიანული დემოკრატიის პრინციპებისა და სოციალური პროგრესის იდეების განხორციელებას. საქართველოს მოღალატის ე. შევარდნაძის ანტიეროვნული და ანტისოციალური რეჟიმის პირობებში ქვეყანამ მიიღო პარლამენტებად წოდებული პარტოკრატთა და ოლიგარქთა ინტერესების განმახორციელებელი კლასობრივი დიქტატურის „დამაკანონებელი“ ორგანოები. საბაზრო ურთიერთობების რეგულირება დაკანონდა სახელმწიფო მონოპოლისტური სისტემის საფუძველზე, საქართველო იმპერიალისტური ეკონომიკური ანექსიის ობიექტად იქცა. ამ პირობებში, როცა დღის წესრიგში დადგა მოღალატე ე. შევარდნაძის წასვლის საკითხი, გაჩნდა როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ვითარება წარმომადგენლობითი დემოკრატიის მიზნით პოლიტიკური მოძრაობის დაწყებისა. „ვარდების რევოლუციად“ წოდებული პოლიტიკური სპეცოპერაციით მოღალატე ე. შევარდნაძის რეჟიმი მისი პოლიტიკის გამგრძელებლის მ. სააკაშვილის რეჟიმით ჩანაცვლდა. ე. შევარდნაძემ ცოდვათა შენდობის ინდულგენცია მიიღო, ხოლო ტრანსნაციონალურმა კაპიტალმა კი პოლიტიკური გარანტია მ. სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ სახით, რომ არანაირი წარმომადგენლობითი დემოკრატია და სოციალური პარტნიორობის სამართლებრივი ვალდებულება მათ ხელს არ შეუშლიდა საქართველოს ეკონომიკურ ანექსიაში. ამავე მიზნით მოხდა ვაშინგტონის, მოსკოვისა და ბრიუსელის მიერ 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების აღიარება. ინტელექტუალური და ფიზიკური შრომის ადამიანები ჩვენი ერის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ, მათთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რომ საბაზრო ურთიერთობების რეგულირება არ დარჩეს სახელმწიფო მონოპოლისტური სისტემის ქვეშ და მით უფრო არ მოხდეს ამ სისტემის კერძომონოპოლისტურით ჩანაცვლება, რადგან ეს გამოიწვევს ქართველი ერის აბსოლუტრი უმრავლესობის სრულ და საბოლოო იზოლირებას საკუთრებისაგან და იმ პირობებში, როცა არანაირად არაა გარანტირებულ-დაცული შრომის უფლება, იგი იქცევა უსამშობლო, უმამულო, უუფლებო დეკლასირებულ მასად, რომლის მთელი ოცნება იმერყევებს ქვეყნის შიგნით ოფიციანტობასა და ქვეყნის გარეთ დაქირავებულ პროლეტარს შორის.

ახალი პარლამენტი უნდა იქცეს წარმომადგენლობითი დემოკრატიის აღდგენისაკენ მიმართულ გზად და ხიდად. 1995 წელს მოღალატე ე. შევარდნაძის მიერ ძალადობით თავსმოხვეული „ძირითადი კანონი“ ფუნდამენტურად უნდა გარდაიქმნას. მით უფრო რომ ევროპის საბჭოში შემავალ არა ერთ ქვეყანაში მოხდა კიდეც ახალი კონსტიტუციების მიღება.

2007 წლის 2-7 ნოემბრის მოვლენებში, უაღრესად დიდი მასების მონაწილეობა განპირობებული იყო უპირველეს ყოვლისა ქვეყანაში დემოკრატიის ხელყოფით. მშრომელიც და უმუშევარიც კარგად აცნობიერებს, რომ არსებული სოციალურ-ეკონომიკური ნორმატივები, პოლარიზებული შრომის ბაზარი მას არანაირი განვითარების საშუალებას არ აძლევს. სახელმწიფო მონოპოლისტური და კერძომონოპოლისტური სისტემა საბაზრო ურთიერთობებში, საზოგადოების მხრიდან ფასებზე და ფასწარმოქმნაზე კონტროლის არარსებობა ამ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას ართმევს მოქალაქეობრივ ღირსებას, დღეს მთელი კატეგორიულობით დგას დემოკრატიული ცვლილებების კონცეფციის აუცილებლობა. ვიმედოვნებთ, რომ ახალი პარლამენტი იმუშავებს დემოკრატიული ცვლილებების სასარგებლოდ. აუცილებელია ქვეყანაში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების ინსტიტუციონალური ფორმით დარღვევაზე პრეზიდენტის პირდაპირი პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაკანონება. პარლამენტმა, სათანადო კანონით, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეგიდით უნდა შექმნას ეროვნული ექსპერტიზის ინსტიტუტი, ასევე უნდა დააკანონოს პარიტეტული (საჯარო მოხელეები და სამოქალაქო სექტორის არჩეული დელეგატები) ადმინისტრაციული კომიტეტების სისტემა, რომელთა მეშვეობითაც გაიმართება სამართლიანი და გამჭვირვალე კონკურსები სხვადასხვა თანამდებობებზე. ეს გამოიწვევს ქვეყანაში სოციალური მეტაბოლიზმის სიჩქარისა და ხარისხის რადიკალურ ზრდას, შესაბამისად გზა გაეხსნება სოციალურ პროგრესს და იმგვარი სამართლებრივი ინსტიტუტების ფორმირებას, რომელიც ყველა მოქალაქეს მისცემს საშუალებას გაერთიანდეს საკუთრების შესახებ კანონების ერთიან სისტემაში, რათა აღიჭურვოს ინტეგრირებული ეროვნული ბაზრის მიერ შთანთქმადი თანამშრომლობის, საქონლის წარმოებისა და მომსახურების გაფართოებისთვის საჭირო საშუალებებითა და შესაძლებლობებით. აუცილებელია, რომ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური სისტემა ჩვენსავე ხასიათს გამოხატავდეს, ესაა ჭეშმარიტი გზა ეკონომიკური კეთილდღეობისაკენ. სოციალურ-შრომით სფეროში აუცილებელია აღდგეს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებისა და რეკომენდაციების რატიფიცირების პროცესი, ქვეყანაში უნდა მოვიწვიოთ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მაღალი მისია, რომელიც საქარ-

კავკასიის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა და საქართველოს დღევანდელი ორიენტირები

(საქართველოს ოქროს შუალედი ფსევდოლიბერალურ და ფუნდამენტალისტურ უკიდურესობებს შორის)

დღეს კავკასიაზე გადის საზღვარი დიდ ომსა და მშვიდობას შორის: კავკასიის სტაბილურობა ძალიან სჭირდება საქართველოსაც და მთელ მსოფლიოსაც... საქართველოს ყოველი მოქალაქისა თუ ცივილიზებული მსოფლიოსთვის ამჟამად არსებითია კითხვა:

რა შემთხვევაშია შესაძლებელი კავკასიის (რესპ. საქართველოს) სტაბილური განვითარების, მშვიდობისა და სამართლიანი სამოქალაქო ცხოვრების უზრუნველყოფა?

კითხვა სხვაგვარადაც შეიძლება ფორმულირდეს:

2008 წლის შემდეგ ვინ გააკონტროლებს ამიერკავკასიას? ისევ რუსეთი, „ნატო“ თუ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები შეთანხმდებიან შუალედურ ვარიანტზე?

ამ ფონზე:

ჩემთვის, როგორც საქართველოს მოქალაქისთვის, კიდევ უფრო არსებითია კითხვა: როგორია საქართველოს პერსპექტივები?

ყველამ იცის: წარსულის გააზრების გარეშე მომავალს ადეკვატურად ვერ განვსაზღვრავთ, ამიტომ მოკლედ კავკასიის გეოპოლიტიკური წარსულის შესახებ:

ამიერკავკასიის ცენტრალურ ნაწილში უძველესი ქართველური სახელმწიფოების ჩამოყალიბება (ძვ.წ. აღ. II-I ათასწლეულები) განსაზღვრა კავკასიის სტრატეგიული უღელტეხილების გაკონტროლების საჭიროებამ.

მაგალითად, ძველი ბერძნებისა თუ ლათინების შეფასებით, კავკასიონი ფაქტობრივად მიჯნავდა ცივილიზებულ და ბარბაროსულ სამყაროებს... კერძოდ, ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინ კაცობრიობისათვის კავკასიონის დიდი მნიშვნელობა პლინიუს უფროსმა შემდეგი სიტყვებით შეაფასა: „კავკასიის კარი (ანუ დარიალის კარიბჭე) სამყაროს ორ ნაწილად ჰყოფს“.

პროფ. გიორგი ქავთარაძის მართებული აზრით, მსოფლიოს გეოპოლიტიკური დაყოფის თვალსაზრისით, ბუნების მიერ ნაგებ კავკასიონის „კედელს“ ცივილიზებული სამყაროსთვის იგივე ფუნქცია ენიჭებოდა, რაც კეთილგონიერი ადამიანების მიერ ბარბაროსების საწინააღმდეგოდ აგებულ ხელოვნურ ზღუდეებს (მაგ., ჩინეთის დიდ კედელს ან ადრიანეს კედელს (ღომან Lიმეს).

სამხედრო-სტრატეგიული ღირებულების გარდა, უძველესი პერიოდიდანვე ამიერკავკასიას, როგორც კულტურულ-ეკონომიკურ ოაზისსა და გზაჯვარედინს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ევრაზიისთვის. ამიტომაცაა, რომ წინარე ელინისტური ხანიდან დღემდე დიდ იმპერიათა მიერ კავკასიონის მთაგრეხილის გადასასვლელების გაკონტროლების ინტერესმა არაერთხელ საბედისწეროდ გაართულა ქართველთა ყოფაცხოვრება...

XIX საუკუნემდე, ზოგჯერ ძალიან ღირსეულად, ზოგჯერ კი დიდი წვალებით, საქართველო მაინც ფლობდა კავკასიის უღელტეხილებსა და ძირითად გზებს; შესაბამისად, ქართველი ხალხიც ინარჩუნებდა თავის სახესა და ფუნქციას.

XIX საუკუნიდან მეფის რუსეთი, ცდილობს რა დამკვიდრდეს კავკასიაში, პირველ რიგში, ესწრაფვის, დაყოს საქართველო; ყველაფერი გააკეთა, რომ აფხაზეთიდან გაეძევებინა ქართველი და აფხაზი ხალხი: XIX საუკუნის ბოლოდ – მუჰაჯირობით – აფხაზები, XX საუკუნის ბოლოს კი, პუტჩის შემდგომი ომით – 350 000 ქართველი და 30 000 აფხაზი...

გარდა ამისა, ამიერკავკასიის დაპყრობის მიზნით, რუსეთის იმპერია 100 წელია არაქართველებად აცხადებს ქართველთა ნაწილს: აჭარლებს, ხევსურებს, მეგრელებს, სვანებს, ლაზებს, თუშებს, იმერლებს... მეტიც, ცდილობს, ეკლესიაში წირვა-ლოცვის ენად ქართულის ნაცვლად რუსული ან კუთხური კილოები დამკვიდროს.

იმპერიის ქმედებამ თავიდანვე აღაშფოთა სამეგრელოს, სვანეთის თუ სხვა კუთხეების ქართველობა, ვინაიდან მათ დაინახეს საფრთხე: დამპყრობელი მათ ისტორიულ დედაენას უუცხოვებდა და ამ გზით უკარგავდა (ავიწყებდა) მრავალსაუკუნოვან წერილობით კულტურას.

საბჭოთა რუსეთმაც გააგრძელა ენობრივ-კულტურული დივერსია საქართველოში. კომუნისტურ იმპერიასაც წინ აღუდგა ყველა კუთხის მოსახლეობა; განსაკუთრებით აქტიურობდნენ სამეგრელოში აღზრდილი ცნობილი მოღვაწეები (კონსტანტინე გამსახურდია, თედო სახოკია...).

დღესაც საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი თვლის, რომ საფრთხე კიდევ ემუქრება ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ენობრივ-ეთნოკულტურულ და ტერიტორიულ ერთიანობას, ვინაიდან ამ მიმართულებით ჯერ კიდევ მუშაობენ კომუნისტური იდეოლოგიის ნარჩენები და ე.წ. ფსევდოლიბერალური მიმართულების მომხრე ის მცირერიცხოვანი (მაგრამ გავლენიანი) რადიკალური ჯგუფი, რომელიც დასავლეთის (მეტწილად, ჯორჯ სოროსის, ჯონატან კოენის და სხვათა) ფინანსებით და მხარდაჭერით ჩამოყალიბდა რელიგიური ექსტრემისტებისა და ფსევდონაციონალურ-ფუნდამენტალისტური ჯგუფების საპირწონედ; მათ სააკაშვილის ხელისუფლების ის სეგმენტი შექმნეს, რომელიც დღემდე აკონტროლებს მეცნიერებისა და განათლების სისტემას (იგულისხმება 2004-2008 წლები).

საქართველოს მოსახლეობა მტკივნეულად განიცდის იმასაც, რომ გარკვეულ ჯგუფს სურს, ე.წ. დასავლური რეფორმების სახელით, მეორეხარისხოვნად აქციონ ქართული ეროვნული ფასეულობანი (მაგ., ისინი ცდილობენ,

გაგრძელება მე-9 გვ.

ახალი პარლამენტი და დემოკრატიული ცვლილებების კონცეფცია

დასაწყისი მე-7 გვ.

თველოს დაეხმარება ადამიანის სოციალური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებასა და შრომის ბაზრის მოდერნიზაციაში, ევროპის სოციალური ქარტია სრულად უნდა რატიფიცირდეს და ევროპის საბჭოს სოციალური უფლებების ევროპულ კომიტეტთან თანამშრომლობით ქვეყანაში უნდა დაიწყოს ევროპული სოციალურ-შრომითი სტანდარტების დამკვიდრება, მისაღებია კანონები: „ სოციალური პარტნიორობის შესახებ“, რომელმაც უნდა დააკანონოს სოციალურ-ეკონომიკური და შრომითი საკითხების, პარიტეტული, სამმხრივი კომისია – მთავრობა, ბიზნესი, პროფკავშირები; გზა უნდა გაუხსნას გენერალურ, დარგობრივ, სატარიფო და ტერიტორიულ შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს.

„განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის იურიდიული და სოციალური დაცვის სფეროში გარანტირებული მინიმალური სტანდარტის შესახებ“;

„მინიმალური ხელფასის შესახებ“;

„პენსიის შესახებ“;

„სოციალური (სამედიცინო, სადაზღვევო, უმუშევრობის, საპენსიო) ფონდების შესახებ“, სადაც უზრუნველყოფილი იქნება პროფკავშირების თანამონაწილეობა მართვაში;

„შრომის კანონთა კოდექსი“, რომელიც აღადგენს 40 საათიან სამუშაო კვირას და დაამკვიდრებს შრომის ევროპულ სტანდარტებს;

„შრომის მავნე, მძიმე და საშიშ პირობებთან სამუშაოთა შესახებ“;

„შრომის უსაფრთხოების ნორმატივების დამდგენი ეროვნული ბიუროს შესახებ“, რომლის მუშაობაშიც თანამონაწილეობას მიიღებს პროფკავშირები;

„შრომის გენერალური ინსპექციის შესახებ“, რომელიც პროფკავშირებთან თანამშრომლობით სრულ კონტროლს დააწესებს შრომის უსაფრთხოებასა და სტანდარტებზე;

„შრომითი არბიტრაჟის შესახებ“;

„საჯარო სამსახურის შესახებ“;

სოციალური პროგრესი და ტოტალური უმუშევრობა შეუთავსებელია, დემოკრატიული ცვლილებების ფარგლებში ახალმა პარლამენტმა უნდა მიიღოს „სამუშაო ადგილების შექმნისა და განვითარების კომპლექსური პროგრამა“ და აუცილებლად უნდა გააუქმოს მშრომელთა ხელფასის გამაჩანაგებელი 25%-იანი საშემოსავლო გადასახადი. უარი უნდა უთხრას მთავრობას მიმდინარე ხარჯების დასაფარად საგარეო ვალების აღებაზე.

1921 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ უაღრესად პროგრესული კონსტიტუცია მიიღო, 1990-1991 წლებში პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ინიციატივით უაღრესად დემოკრატიული ცვლილებები განიცადა იმჟამად მოქმედმა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციამ, გზა გაიხსნა ახალი ეროვნული კონსტიტუციის მიღებისაკენ და რომ არა 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება, რომ არა ე.წ. სამხედრო საბჭოს მიერ არალეგიტიმური დეკლარაციით ვითომცდა დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ამოქმედება და რომ არა მოღალატე ე. შევარდნაძის მიერ ე.წ. სახელმწიფო საბჭოს არალეგიტიმური დეკრეტებითა და ნორმატიული აქტებით ქვეყნის სამართლებრივი სისტემის ნგრევა, დღეს ქართველი ერი არ იდგებოდა ასეთი დიდი სამართლებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული პრობლემების წინაშე.

წარმომადგენლობითი დემოკრატიის, სოციალური პარტნიორობისა და თვითმყოფადი ეროვნული კულტურის მოპოვება და შენარჩუნება, უცილობლად მოითხოვს ახალი პარლამენტის მიერ დემოკრატიული ცვლილებების კონცეფციის განხორციელებას. მთავარი ამოცანაა ბრძოლა იმპერიალიზმის მიერ საქართველოს ეკონომიკურ ანექსიასთან, რაც პოლიტიკური სუვერენიტეტის ლიკვიდაციითა და კულტურული ასიმილაციით დამთავრდება. ამ ბრძოლაში წარმომადგენლობითი დემოკრატიის განხორციელებას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ამ ეროვნული მიზნის მისაღწევად.

დავით არაბიძე

დასაწყისი მე-8 გვ.

მეგრელ-ლაზ-სვანებს წაართვან 20 საუკუნოვანი სამწიგნობრო ტრადიცია: აცხადებენ, რომ ქართული სამწიგნობრო კულტურა შეიქმნა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში...). უფრო არსებითი კი ის არის, რომ ხელისუფლების ეს სეგმენტი დასავლეთის სახელით მანიპულირებს, რითაც საფრთხეს უქმნის ევროატლანტიკური ალიანსის ავტორიტეტს საქართველოში... ამ ფონზე კი რუსეთის იმპერიულ ძალებს უჩნდებათ შანსი, დაიტოვოს ამიერკავკასია...

ქართველთა უმრავლესობას კარგად ესმის ტრადიციული ეროვნული მემკვიდრეობის მნიშვნელობა საკუთარი იდენტობისა და მსოფლიოს კულტურული მრავალფეროვნობის თვალსაზრისით; ამიტომ დასახელებული ორივე ჯგუფის მიმართ საქართველოს საზოგადოება ერთნაირ დამოკიდებულებას ამჟღავნებს.

ვფიქრობთ, ამ ეტაპზე, პირველ რიგში, დასავლეთმა საქართველოს მოსახლეობა უნდა დაარწმუნოს, რომ მისგან საფრთხე არ ემუქრება ქართულ (თუ კავკასიურ) იდენტობას; შესაბამისად, აქტიური საგანმანათლებლო სივრციდან თუ პოლიტიკიდან უნდა გაიყვანოს მის მიერ დაფინანსებული და ქართულ პოლიტიკაში გააქტიურებული ე.წ. ქართველი ლიბერალები 9სინამდვილეში – ფსევდოლიბერალები), რომელთაც ძალიან უარყოფითი რეიტინგი აქვთ საქართველოში...

ასევე, აუცილებელია, ერთხელ და სამუდამოდ ითქვას, რომ ქართველები ისეთნი ვჭირდებით მსოფლიოს თუ მეგობრულად განწყობილ მეზობლებს, როგორნიც ვართ: საკუთარი ენისა და კულტურის მქონე მრავალსაუკუნოვანი მართლმადიდებლები (ტოლერანტობა ქართველი მართლმადიდებლების ისტორიული თვისებაა: საქართველო ისტორიის ყველა ეტაპზე საკუთარ სახელმწიფოში იფარავდა დევნილ სხვა კონფესიის ხალხებს (იხ., მაგ., საქართველოს ებრაელთა 26-საუკუნოვანი ისტორია)...

თამამად შეგვიძლია ვთქვათ:

უძველესი დროიდანვე ევროპა-აზიის საზღვარზე საქართველოს იყო ძირითადი დასავლური Gღირებულებების მატარებელი ხანგრძლივი ისტორიის მქონე ქვეყანა. ასეთი ღირსების მქონე ქართველი კაცი არავის დაუთმობს თავის ისტორიულ საცხოვრისს...

ამიერკავკასიის ბოლო 200-წლიან პერიოდში, როდესაც კავკასიონის უღელტეხილებს (და ახალგაყვანილ როკის გვირაბს; სწორედ კავკასიონის საკონტროლოდ შექმნა რუსეთმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტომონია; შდრ.: ცხინვალში მხოლოდ 2 ოსური ოჯახი ცხოვრობდა XX საუკუნის დასაწყისში) არალეგიტიმურად დაეპატრონა რუსეთი, კავკასიის მკვიდრი ხალხების სახელმწიფოებრიობამ დანარჩენი მსოფლიოსთვის თითქოსდა დაკარგა თავისი ისტორიული ფუნქცია; თუმცა, 1991 წელს საქართველოს რესპუბლიკაში ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ გამოცხადებულმა საქართველოს დამოუკიდებლობის აღორძინებამ და ამიერკავკასიის სხვა სახელმწიფოების პერსპექტივებმა ისევ გააქტუალურა კავკასიონის კონტროლის საკითხი: ამიერკავკასიის სახელმწიფოებს (განსაკუთრებით საქართველოს) ისევ დაუბრუნდა არსებითი გეოპოლიტიკური როლი.

ბოლო პერიოდში ამიერკავკასიის გეოპოლიტიკური როლი გაზარდა კასპიისა და შუა აზიის ნავთობისა თუ გაზის ევროამერიკულმა პერსპექტივამ. აქედან გამომდინარეა ის, რომ კასპიის ზღვაში სამჯერ გაიზარდა კასპიის ქვეყნების სამხედრო კონტიგენტი და დასავლური ინვენსტიციების დასაცავად აზერბაიჯანში აშენდა აერობაზა...

დღესდღეობით კავკასიის სახელმწიფოს სრულყოფილი ფუნქციონირება ხელოვნურად ფერხდება იმპერიული ძალების მიერ პროვოცირებული კონფლიქტებით, რომლებიც არ არის არც ე.წ. ეთნოკონფლიქტები და არც სამოქალაქო ომები...

მიმდინარე პროცესების ადეკვატური შეფასებისა თუ მომავლის დაგეგმვისას სრულადაა გამოსაყენებელი თანამედროვე სამეცნიერო კვლევებით მიღებული დასკვნები; კერძოდ:

საბჭოურ პერიოდში იდეოლოგიური წნეხისა და მკაცრი ცენზურის პირობებში კავკასიის ენების, კულტურების თუ, ზოგადად, ხალხების ისტორია ძირითადად რუსეთის იმპერიის სქემით იწერებოდა; იქმნებოდა ყალბი ორიენტირები (საქართველოს დედაქალაქში ამიტომაც დგამდნენ რენეგატების ძეგლებს, ნაცვლად დიდი მეფეებისა თუ გმირების...)... შესაბამისად, თანამედროვე მეცნიერთათვის ძირითადად ცნობილია იმპერიის გეგმით შექმნილი იდეოლოგიზებული „მეცნიერული დებულებები“...

ბუნებრივია, ამ პირობებში მეტწილად არაადეკვატური ინფორმაციები აქვთ თანამედროვე ჟურნალისტებს, პოლიტიკოსებს, სტუდენტებს, ფართო საზოგადოებრიობას...

ამჟამინდელი მსოფლიოს პოლიტიკური ვნებები ძველისგან თვისობრივად დიდად არ განსხვავდება; ოღონდ, მაღალია ინფორმაციისა თუ დეზინფორმაციის გავრცელების სისწრაფე: მოსალოდნელია, რომ ბევრი ცუდი პროცესი სწრაფად განვითარდეს სათანადო პრევენციის არარსებობის შემთხვევაში...

ამიტომაც, დღეს განსაკუთრებითაა საჭირო, რომ სიღრმისეულად, თანამედროვე მეცნიერული მეთოდოლოგიით გაანალიზდეს კავკასიის ძველი, ახალი თუ უახლესი პოლიტიკური და ეთნო-ლინგვისტური თუ კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესები და სრულიად ახლებურად (ობიექტურად!) გასაზრებული ფაქტები თუ მოვლენები და მისაწოდებელი მსოფლიოსთვის...

ჩემი აზრით, მსოფლიოსთვის კავკასიის სტაბილურობა იოლად მიღწევადია, თუკი ადეკვატურად დაფასდება კავკასიის მკვიდრთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფასეულობები და სწორად განისაზღვრება ქართველთა სახელმწიფოს როლი კავკასიის გეოპოლიტიკურ სივრცეში.

ჩემთვის ერთ რამ აშკარაა:

კავკასიის „გასაღები“ ერთი დიდი იმპერიის ხელში არ უნდა იყოს; კავკასიაში გეოპოლიტიკური წონასწორობა მთელმა მსოფლიომ უნდა შეინარჩუნოს კავკასიის ავტოქთონი მოსახლეობის მეობისა და ღირსების გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში იქნება წარმატებული როგორც დასავლური ინვენსტიციები, ასევე, კავკასიის სახელმწიფოები (შდრ., ფინეთის ეკონომიკური ეფექტი).

ეს სქემა რეალიზდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი კავკასიური ვექტორები განისაღვრება რეგიონის ობიექტური ცოდნის საფუძველზე.

ვიდრე საქართველოს ორიენტირებზე ვიტყოდეთ რამეს, კიდევ ერთ ფაქტს შევეხებით:

1991-2007 წლებში საქართველოში მომხდარი არც ერთი მოვლენა არსობრივად არ შეუპირობებია დემოკრატიის, სამართლიანი არჩევნების (/ხმების სწორად დათვლის), თუ სოციალური თანასწორობის მოთხოვნას; კერძოდ:

1991-93 წლებში საბჭოთა იმპერიამ დაამხო/განდევნა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება იმიტომ, რომ იგი ითხოვდა საქართველოს/კავკასიის დამოუკიდებლობას რუსეთისგან (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საბჭოთა კავშირის ჯარს მიანიჭა საოკუპაციო ჯარის სტატუსი)... ქართველი ხალხის ნების გარეშე, მაშინ, საერთაშორისო გარიგებით, ამიერკავკასია დარჩა რუსეთს.

2004 წლის გადატრიალებით, „თეთრი მელას“ ორმაგი თამაშით „დაღლილმა“ ევროამერიკულმა ალიანსმა, ხელისუფლებაში მოუშვა მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც მკვეთრი ნაბიჯები გადადგა ნატოსკენ.

ახლა რუსეთი ისევ ცდილობს რევანშს (შდრ.: კოსოვოს მოდელით შანტაჟი; ე.წ. რუსული პასპორტების დარიგება, ახალი ტიპის რუსული ოკუპაცია, დესტაბილიზაციით მუქარა...).

აშკარაა:

დღეს საქართველოზე გადის ნატოსა და რუსეთის იმპერიის „ბასრი“ საზღვარი (რუსეთთან მიმართებით რა ადგილს იჭერს ირანი, ჩინეთი... ეს კიდევ სხვა საკითხია)...

რომელ მხარეს დარჩება საქართველო?

სამგვარი პერსპექტივაა:

1. რუსეთს სურს, დაიტოვოს ამიერკავკასია (თბილისი როკის გვირაბითურთ, შავი ზღვის სანაპირო...);

2. ევროამერიკულმა ალიანსმა დიდი ფული დახარჯა კასპიის აუზის კონტროლისთვის; მას სტრატეგიული თბილისი და როკის გვირაბი სჭირდება...

3. მსოფლიო შეთანხმდება, რომ კავკასია არც ერთი დიდი ალიანსისგან არ იყოს კონტროლირებადი; შესაბამისად, საერთო კონსენსუსით, დიდი პოლიტიკური მოთამაშენი უფლებას მისცემენ საქართველოს მოსახლეობას, თავისუფალი ნების გამოხატვით ლეგიტიმურად აირჩიოს ხელისუფლება და აკონტროლოს საქართველოს ისტორიული ტერიტორია (როკის გვირაბი, კავკასიონის უღელტეხილები, ბაქო-ჯეიჰანის მაგისტრალი...).

მესამე ვარიანტი: საქართველო – მსოფლიოს კავკასიური შვეიცარია, ჯერჯერობით არარეალურია. აქვე ვიტყვით იმასაც, რომ „მსოფლიო შეთანხმების“ გარეშე საქართველოს მიერ თვითდეკლარირებული „პოლიტიკური ნეიტრალიტეტი“ კრახით დამთავრდა 1801, 1921, 1991 წლებში (და მომავალშიც ასე იქნება!): სამივეჯერ რუსეთმა ცინიკურად, იარაღის ძალით დაიპყრო საქართველო (და შეეცადა, ენობრივ-ეთნიკურად დაეშალა ქართველობა, გაენადგურებინა ქართულენოვანი საგანმანათლებლო სისტემა და ქართულენოვანი ეკლესია...).

...არც მსოფლიო და არც ქართველობა დღეს და მომავალშიც აღარ შეეგუება, რომ ამიერკავკასია/საქართველო ისევ რუსებმა აკონტროლონ (ყველამ ვიცით, რომ კულტურულ-ეკონომიკურადაც კი საქართველო ფეხზე მანამ ვერ დადგება, სანამ მის ტერიტორიაზე რუსეთის საოკუპაციო ჯარი დგას)...

ვფიქრობ, ამ ეტაპზე უფრო მოსალოდნელია, კავკასია გადანაწილდეს „ნატოსა“ და რუსეთს შორის:

ბაქო-ჯეიჰანის მაგისტრალი – ევროალიანსს, აფხაზეთი – ნეიტრალური ზონა (საქართველოს იურიდიულ ფარგლებში), ჩრდილო კავკასია – რუსეთს; საკამათო/სავაჭრო იქნება როკის გვირაბის საკითხი...

საქართველოს მოსახლეობას არ ხიბლავს ეს პერსპექტივა...

პირველ რიგში, ხალხს სჭირდება სამართლებრივი სახელმწიფო და პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა... სამწუხაროდ, იმპერიული ძალები თუ მათგან მართული ქართული პოლიტიკური სპექტრის ნაწილი დღესაც ცდილობს, დააბნიოს საქართველოს ელექტორატი სოციალურ თუ დემოკრატიულ ღირებულებებზე დემაგოგიით გაუუფერულოს მთავარი საფრთხე და უბიძგოს ხელისუფლების ძალადობით შეცვლისკენ.

სამწუხაროდ, დღემდე სამართლებრივად არაა შეფასებული 1991-93 წ.წ. საქართველოში ხელისუფლების ძალადობრივი დამხობის ფაქტი, რამაც ამიერკავკასიაში „ყოფნა“ გაუხანგრძლივა რუსეთის სამხედრო შენაერთებს (აღსანიშნავია, რომ პუტჩის მონაწილე მცირერიცხოვან ქართველთა დიდი ნაწილი დღესაც პოლიტიკურ „ელიტაშია“ და ოპოზიციონრობას თუ ხელისუფლობანას თამაშობს...). უფრო მთავარი ის არის, რომ რუსული პუტჩის გზით საქართველოს ხელისუფლებაში მოსული (და ამერიკელებისგან მხარდაჭერილი) შევარდნაძის მარიონეტული რეჟიმის მიერ რუსეთთან დადებული არალეგიტიმური ხელშეკრულებები დღემდე ხელფეხს უკრავს საქართველოს.

პროფ. ტარიელ ფუტკარაძე

ლიტერატურული გვერდი

აპოლონ ადონია

ორპინიანი სასწორი
(ნოველა)



ვუძღვნი ქართველ ბავშვებს, ბავშვებო, მე თქვენ საკუთარ სიცოცხლეზე მეტად მიყვარხართ - *ავტორი*

ყმაწვილო ბიდან, არა უფრო ადრე... ჩემმა დიდმა მოძღვარმა ქართველი ერის ბედი ისე ნათლად დამიხატა, ისე ბრწყინვალედ დამიხატა, რომე გარკვეულად დავინახე სივრცეში გადმოკიდებული ორპინიანი სასწორი; დიდი, უზარმაზარი პინებით.

უჟანგავი, მზეზე მოელვარე, ერთი პინა, მეორე – შავი, ჯანგარასავით მბზინავი.

* * *

მას შემდეგ ექვსი ათეული წელი მიილია და ყველგან, ყოველთვის თან მდევს ეს სასწორი, თან მდევს კი არა, წინ მიმიძღვის, დღისით და ღამით.

გამოლასლასდება გაძვალტყავებული ქართველი და თეთრ პინაზე მოწიწებით დადებს თავისი სულისა და აზრის უძვირფასეს ნაქნარს. გამოხვანჯგალდება მავანი და თავის ნაცრუალს, ნაბოროტალს, ნაცბიერალს დაახვავებს შავ პინაზე, რომელიც ცუდი საქმეებისა და ფიქრებისათვის არის განკუთვნილი.

და ასეა მუდამდღე.

* * *

ამ ხნის განმავლობაში რას არ ნახავდა აქ მხილველი თვალი.

დღედაღამე ზრიალი და ბრაგვანი გაუდიოდა ცუდნაქნარის პინაზე ქრთამისა და ხალტურის ურნალებს, ნაკომუნისტარ, ნაკომკავშირალ, ნაუშკომარ სიავეებს...

ცრუ მეცნიერების,
ცრუ მწერლების,
ცრუ ფილოსოფოსების ხვედატომეულებს
ლაწანი გაუდიოდა
ცუდნაქნარის პინაზე ზამთრის ბნელ ღამეებში.

ცუდნაქნარის პინაზე ნისლი და ჯანღი ირეოდა მუდამ.

* * *

გამოჰყავდათ და გამოჰყავდათ, დღეღამის ყოველ ჟამს, მაგრამ უფრო შუაღამის სიბნელეში... ჩოხაახალუხიანი, ბეჭებგანიერი, წელწვრილი ვაჟკაცები... ჩემი ტანწერწეტა ქართველები, ყმაწვილები, ქალები, ჭარმაგი კაცები, მოხუცები... საერონი და სასულიერონი... ხვრეტდნენ და ხვრეტდნენ... თქრიალით მოედინებოდა სისხლის ნაკადი.

მაგრამ ხდებოდა სასწაული, ცუდნაქნარის პინიდან კარგნაქნარის პინაზე გადმოდიოდა და დახვრეტილთა სისხლი... მათი ფიქრები, ჭირისუფალთა გლოვა-ნაღველი, ცრემლები... მხოლოდ ბოროტნაკნარი რჩებოდა შავ პინაზე.

კარგნაქნარის პინა უკანასკნელი ნუგეშით მიაცილებდა მათ, გზას უნათებდა გაღმა გარდამსვლელებს.

* * *

მომდედვნო ათწლეულებში მხრებგანიერი და წვრილწელიანი, სწორწვივიანი დახვრეტილების ნაცვლად ზრდიდნენ ბეჭებწვრილსა და წელმსხვილს, მოკლეთითება და კნაჭაფეხება, მუცელგოლორა ნიფხვით მოსიარულე გნომებს.

ეს იყო ქართველი ერის - კავკასიური რასის გენოციდი – ხალხის მტრებისა და ხალხის მოყვრების პოჩით ნაწერ იდეებს ამოფარებული, სინამდვილეში კი ჯოჯოებისა და მუდოკაცებისათვის გზის გამხსნელი.

და მაინც კარგნაქნარის პინა ელავდა, მზიურობდა... ნელა ირწეოდა ნიავქარის ნამოკროლებაზე... ცუდნაქნარის პინაზე დახვავებულ ნივთიერ სიმძიმეებს ადვილად სძლევდა კარგნაქნარის პინაზე დასხივებული სულიერი ენერგია ერისა.

* * *

მოვიდა დავით აღმაშენებელი და გალაღდა კარგნაქნარის პინა.

მოვიდა ლიპარიტ ერისთავი-მაოხრებელი და დამძიმდა ცუდნაქნარის პინა.

***მოვიდა თამარი
და განათდა კარგნაქნარის პინა.***

***მოვიდა ცოტნე დადიანი
და გაბრწყინდა კარგნაქნარის პინა,***

***მოვიდა თევდორე მღვდელი
და გაკაშკაშდა კარგნაქნარის პინა.***

***მოვიდა ქეთევან დედოფალი
და გადიადდა კარგნაქნარის პინა.***

***მოვიდნენ ზვიად გამსახურდია და
მერაბ კოსტავა და მზე ამოუვიდა კარგნაქნარის პინას,
მოვიდა გია აბესაძე და ზენათელი სხივით გაცისკროვნდა კარგნაქნარის პინა...***

***მაგრამ მოვიდა იგი, - ედუარდ მაოხრებელი და წყვდიადმა დაისადგურა კარგნაკნარის პინაზე.
გაუკულმართდა საგანთა წყობა,
შავად შეიმუსრა ცუდნაქნარის პინა.***

* * *

ბოლო თორმეტი წელი მიიწურა, რაც გამუდმებით დგას კარგნაქნარის პინასთან ერთი ქართველი კაცი:

გალეული, გაპარტახებული, მაგრამ შეუპოვარი, ჯიუტი...

დარდადქცეული, ლანდადქცეული... ისეთი თავი რომ მოჭრა წვეთი სისხლი არ გამოუვაო, რომ იტყვიან.

დამჯდარი არავის უნახავს.
დგას დღისით,
დგას ღამით,
დგას შუადღის პაპანაქებაში,
დგას შუაღამის წყვდიადში
დგას და დგას...

თორმეტი წელი მუხლჩაუხრელად დგას და კარგნაქნარის პინას მიშტერებია.

შუადღისას და შუაღამისას მთელ სასწორს მოავლებს თვალებს.

შეღამებისას ცუდნაქნარის პინას კუშტად გახედავს.

ისე უძრავად დგას, კაცი კი არა, ძეგლი გეგონება.

მართლაც ჰგავს როდენის „მოაზროვნეს“, მაგრამ
ის ძეგლია, ეს ხორცი და ძვალია, ძარღვებია და

* * *

ცოცხალი სისხლი დარდისაგან გაქვავებული.

შუაღამის მდუმარებაში მასთან აჩრდილები მოდიან:

ზოგი დავითს ჰგავს,
ზოგი – თამარს.
ზოგი – ქეთევანს.
ზოგი – ზვიადს.
ზოგი – მერაბს,
უამრავი სახე მოდის, წმინდა სინათლით
მოსილი.

მოდგებიან და იკითხავენ: – არავინ გამოჩნდა?

კარნაქნარის პინასთან თავისი ნება-სურვილით მოსული მარადიული მეთვალყურე ეროვნული ბედისწერისა, პასუხობს ყველას:

– წლები გადიან, არავინა ჩანს! -

– იქით რა ხდება? – ცუდნაქნარის პინისაკენ ანიშნებენ დარაჯს.

– იქით გახედვა არცაა საჭირო. განუწყვეტელი ბრაგვანი ისმის დღედაღამ, მოდიან და მოდიან ტვინჩაშრეტილი არარაობანი და ყრიან და ყრიან ცუდნაქნარს.

* * *

ესენი ისეთი არამზადები არიან, რომ შეიძლებოდეს, კარგნაქნარის პინაზე დაყრიან თავიანთ ნაავკაცარს, რათა თავიანთი თავები ერისათვის თავდადებულად წარმოაჩინონ – ეს მათი გასახმობი და ყორნის ჩარბით ტვინამოსაკორტნი თავები. იყო ამის მცდელობაც, განა არ იყო?!

მერე როგორი! ადამიანისათვის უკადრებელი სიცრუე და ცბიერება გამოიყენეს საამისოდ, მაგრამ კარგნაქნარის პინამ ყველას უკან გადმოუყარა თავისი ნაგავი.

* * *

თუ ვინმე არ მოვიდა,
სასწორი გადაყირავდება.

* * *

მოვა ვინმე!
არ შეიძლება, არ მოვიდეს!

ლიტერატურული გვერდი

ლექსები

ნოდარ ჯალალონია

თუ გაიყიდა

რად იქცა ჩვენში ცრემლი ტბად, მარაბდა
რისთვის გასისხლდა,
რისთვის იბრძოდა ქართველმა, თუ საქარ
თველო გასხვისდა.

თუ საქართველოს უცხოთა მიწა და წყალი
ერქმევა,
ვის დასჭირდება თევდორე, ვინ გაიხ სენებს
ქეთევანს.

თუ მოიშლება ქართული, ოჯახი, კერა,
სახლ-კარი,
თუ გაყიდიან ბაზალეთს, სად დაირწევა
აკვანი.

თუ გაიყიდა დავითის და რუსთაველის
გამზირი,
თუ არ ივლიან ბიჭები, „იავნანათი“
გაზრდილი.

თუ გაიყიდა მთა-გორი, ტყე-ჭალა, ცელი,
მინდორი,
ნიკორწმინდა და მთაწმინდა, კოხტა გორა
და დიდგორი.

თუ გაიყიდა არაგვის, წყალი ალაზნის
რიონის,
რისთვის იცოცხლოს ქართველმა, ვისი
მიწისთვის იომოს.

თუ გაიყიდა კრწანისი, სადაც სამასი გული
ძგერს,
თუ რესტორნები დაადგეს ძეგლად ცხრა
ხერხეულიძეს.

თუ გაიყიდა ქართველი სოფელი, დაბა,
ქალაქი,
ბეთანია და ვარძია, წინაპართ ძვათშესა
ლაგი.

რისთვის დაღვაროს სისხლ-ოფლი, ვისი და
რისი ხსნისათვის,
ვისთვის იბრძოლოს ქართველმა, ვისი მიწის
და წყლისათვის.

თუ მტერი შემოგვესია (ვატყობ, უომრად
მოდიან),
იცოდეს ყველამ, სამშობლო, გაშლილი
დახლი როდია.

თუმცა, მამულში ქართველებს ბევრი სისხლი
გვაქვს ჩაღვრილი,
ქართულ მიწაში ბევრია, მომხდურთა
ძვლებიც ჩაყრილი.

წინაპართ სისხლი და ოფლი, არა, არ გაი
ყიდება,
რადგან, სამშობლო ყველა დროს, ყველა
თაობას სჭირდება.

თუ ვინმემ მაინც ისურვა, თუ ვინმემ მაინც
ინება,
არ მოსცილდება მის სახელს, მის საფლავს
წყევლა-გინება.

ადრე თუ გვიან, სამშობლო ცოცხალს და
მკვდარსაც მიაგნებს,
გამყიდველებს და მყიდველებს თალვის
საზღაურს მიაგებს.

* * *

ჩემო ბედო და ჩემო იმედო,
ისე არ მომკლა, არ გამიმეტო,
კრწანისის მტრების ჯავრი არ ვჭამო,
ლაშარის გორზე არ მოვილხინო,
ჩემი ხალხი და ჩემი სამშობლო
თავისუფალი რომ არ ვიხილო!

კოდორის ხეობა

ცერზე არის შემდგარი დღეს კოდორის
ხეობა,
საქართველოს სიმტკიცე, იმედი და
მხნეობა.
სვანი კაცის გულივით ამაყი და
მართალი,
საქართველოს გასცქერის როგორც
მთავარსარდალი.

* * *

თუ მისთვის სისხლი აღარ დაღვარე,
მის მტრებზე ჯავრი თუ არ იყარე,
თუკი სამშობლო არ შეიყვარე,
ისე სამშობლოც არ შეგიყვარებს.

მისი სიკეთით თუ არ იხარე,
თუ მასზე ზრუნვით არ დაიღალე,
თუ შენი ხალხი არ შეიყვარე,
ისე არც ხალხი არ შეგიყვარებს.

* * *

ხომ იდგა საქართველოში
კაენ-იუდას ცოდვა,
ბევრი ხომ ვერცხლზე ფიქრობდა,
საქართველოზე ცოტა.
ვაგლახ! რომ დღესაც რამდენი
ქვეყნის წინაშე ცოდავს,
ბევრი ფულისთვის იბრძვის და
საქართველოსთვის ცოტა.

სიზმარი

სად არის სიკვდილ-სიცოცხლის ნიშა,
თუ ეს ცხოვრება არის გაძლება, -
ვინ იცის, იქნებ, სიზმარი ნიშნავს
ცოდვილ ქვეყნიდან სულის გაქცევას.

ვინ იცის, იქნებ, სიზმარი კაცის
თავისუფალი სულის ფიქრია,
იქნებ მიწიერ ბორკილებს გვაცლის,
იქნებ, სიზმარი ცის ბილიკია.

იქნებ, ვიცილებთ მიწიერ ფიქრებს
და ვცდილობთ ცაში სულის გაფენას,
სიზმარში ფრენით ვეჩვევით, იქნებ,
სიკვდილის შემდეგ ცაში გაფრენას.

* * *

სხვაგან არ ვიცი რა ხდება,
რა კანონი და წესია,
საქართველოში სამშობლო,
ლექსის ძირი და ფესვია.

ჩვენში პოეტის ღირსება
მამულის ნებით მოწმდება,
ანთეოსივით მოკვდება
ვინც მშობელ მიწას მოწყდება.

ახალი წიგნები – ტერენტი გრანელის ორი წიგნი

პოეტმა თამაზ ფიფიამ და მხატვარმა რეზო ადამიამ გამოსცეს ტერენტი გრანელის ლექსების კრებულები საკუთარი წინათქმებით. თავის წინათქმაში თამაზ ფიფია ტერენტი გრანელს „მიწიერ ცხოვრებაზე ამაღლებულ პოეტს“ უწოდებს, ხოლო რეზო ადამია – „უზომოდ მგრძნობიარე, დიდი ნიჭისა და განცდების პოეტს“.

ორივე ავტორის გამოცემა უდავოდ დიდი საჩუქარია ქართველი მკითხველისათვის.



დოქტორი ჯორჯი საქართველოში ბრუნდება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში (№16) გამოვაქვეყნეთ მცირე ბიოგრაფია და მასალა პოლიტემიგრანტ გიორგი ქართველიშვილზე, რამაც მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია და გამოთქვეს სურვილი უფრო მეტი გაეგოთ მასზე. ამ მიზნით ვაქვეყნებთ ქვემომოცემულ მასალას ისრაელის ჟურნალ „ხადაშოთი"-დან. № 35, 16.12.05

דר' ג'ורג' חוזר לגרוזיה

סיפורו המיוחד של רופא הילדים דר' ג'ורג' כרתבלישוילי (בן העם), שבקרוב ישוב לארץ מולדתו גרוזיה משם הוא ברח, בגלל המשטר הקומוניסטי ששלט שם אז, והגיע לארץ בשנת 1973

נעמי פורת

לפני זמן מה סיפר לי אחד מאנשי המערכת, שישנו בקריית שמונה רופא ילדים עם סיפור מיוחד ושאני חייבת לבדוק את סיפורו. השבוע, בביקורי בקופ"ח דרשתי להיבדק מהר כי עלי לראיין את דר' ג'ורג' והודעתי שבעוד כעשרים דקות עלי לפוגשו. האחיות ששמעו את דרישתי זו יצאו מגדרן כדי לאפשר לי לצאת בזמן ולא הפסיקו לשבח את האיש המיוחד הזה, שלראשונה שמעתי על שמו לפני מספר שבועות בלבד. את הפגישה עם הרופא ערכתי במשרדיו המהודרים של "מידעפון", כשיעקב נדב, בעל המקום העמיד לרשותנו.

דר' ג'ורג' עלה לישראל בדקה ה-90' לפני שנשלח לגלות בסיביר, למרות שאינו יהודי. הוא נחשב לאישיות מסוכנת ולא רצויה בעקבות התנגדות חזקה שניהל במשך שנים כנגד המשטר הקומוניסטי. דר' ג'ורג' נולד בשנת 1923 בכפר אוביסה שבגרוזיה. מאז בגרותו עשה ככל יכולתו כדי להלחם נגד המשטר, התנגדותו זו כמעט ועלתה לו בחייו. הוא מלין על כל מנהיגי ברית המועצות החל בלנין וכלה בפוטין. אין הבדל ביניהם ולדבריו משטרו של הצאר כבר היה חצי צרה וכל מי שבא אחריו גרוע הרבה יותר.

"בהיותי צעיר לימים לא השתייכתי לאחת מתנועות הנוער. לאחר שסיימתי את התיכון למדתי רפואה ועבדתי שנים רבות כרופא ילדים. בשלב מוקדם בחיי הבנתי שהמשטר במדינה שאני חי בה מדכא את אזרחיה, לא ניתן להביע דעות ולמעשה על האזרחים מוטלת חובה לבצע כל מה שמורים לו ללא שאלות נוספות. אני לא יכולתי לקבל את הדיכוי ולכן התחלתי לכתוב מאמרים ולשלוח אותם למנהיגי ברית המועצות. מעולם לא הסתרתי

ד"ר ג'ורג' כרתבלישוילי

ნაომი ფორათი

განსაკუთრებული ამბავი ბავშვთა ექიმის ჯორჯ (გიორგი) ქართველისშვილისა (ხალხის შვილი), რომელიც მალე თავის სამშობლოში ბრუნდება. იგი მან კომუნისტური რეჟიმის გამო დატოვა და ისრაელში ჩავიდა 1973 წელს.

რამოდენიმე ხნის წინ რედაქციაში მითხრეს, რომ კირიათ შმონეში ცხოვრობს განსაკუთრებული ბიოგრაფიის ბავშვთა ექიმი და დამევალა მისი ისტორიის გადამოწმება. ამ კვირაში, პოლიკლინიკაში ყოფნის დროს მოვითხოვე ამ საქმის დაჩქარება, რამეთუ ინტერვიუ უნდა ამეღო დოქტორ ჯორჯისაგან. მაცნობეს: ოც წუთში მეძლეოდა მასთან შეხვედრის შესაძლებლობა. ექთნებმა, შეიტყვეს რა ჩემი (მო)თხოვნის შესახებ, თავისებურად სცადეს ჩემი დახმარება დროულად შევედგომოდი საქმეს და მოჰყვნენ ამ განსაკუთრებული პიროვნების დაუსრულებელ ქებას, რომლის სახელი პირველად მხოლოდ რამოდენიმე კვირის წინ გავიგე. ჩემი პირველი შეხვედრა ექიმთან შედგა „მედაფონის" შესანიშნავ ფეშენებელურ ოფისში, რომელიც მფლობელის იაკოვ ნადავის დიდსულოვნობით ჩვენს განკარგულებაში აღმოჩნდა.

დოქტორი ჯორჯი ისრაელში ჩამოვიდა 70-იან წლებში, მიუხედავად იმისა, რომ იგი ებრაელი არ არის, სანამ ციმბირის გალუთში აღმოჩნდებოდა (სანამ ციმბირში უკრავდნენ თავს) იგი ითვლებოდა საშიშ და არასასურველ პიროვნებად. თავისი იმ დიდი წინააღმდეგობის გამო, რასაც ამჟღავნებდა წლების განმავლობაში გამეფებული კომუნისტური რეჟიმის მიმართ.

დოქტორი ჯორჯი დაიბადა 1923 წელს, სოფელ უბისაში, საქართველოში. ჭაბუკობიდან მოყოლებული ყველანაირად ცდილობდა ებრძოლა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ და ეს ლამის სიცოცხლის ფასად დაუჯდა. იგი უჩიოდა საბჭოთა კავშირის ყველა ლიდერს, დაწყებული ლენინიდან და პუტინით დამთავრებული; არავითარ განსხვავებას არ პოულობდა მათ შორის და მისი თქმით, მეფის რეჟიმი ამასთან შედარებით ნახევარი უბედურება იყო და მის შემდეგ ვინც კი მოვიდა სულ უფრო და უფრო უარესი ხდებოდა.

„ჭაბუკობისას, არც ერთ ახალგაზრდულ მოძრაობას არ მივეკუთვნებოდი. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შევისწავლე მედიცინა და მრავალი წლის განმავლობაში ვმუშაობდი ბავშვთა ექიმად, ჩემი ცხოვრების ადრეულ ეტაპზე გავიგე, რომ ის რეჟიმი, რომელიც ჩემს ქვეყანაში იყო გაბატონებული, თრგუნავდა თავის მოქალაქეებს, არ აძლევდა მათ საკუთარი შეხედულებების გამოხატვის საშუალებას და ავალდებულებდა მათ ეკეთებინათ ყველაფერი დამატებითი კითხვების გაერეშე, მე არ შემეძლო შევგუებოდი ამას. დავიწყე წერილებისა და სტატიების წერა და ვუგზავნიდი ლიდერებს. არასოდეს დამიმალავს ჩემი შეხედულებები და აზრები. უშუალოდ, პირდაპირ ვწერდი მათ, ვინც იდგა სახელმწიფოს სათავეში. მახსოვს, როგორ წუხდნენ ამაზე ჩემი ახლო ამხანაგები და მთხოვდნენ შემეწყვიტა ეს, ვინაიდან ეშინოდათ, რომ ყოველივე ამით, ბოლოსდაბოლოს ჩემს სიცოცხლეს დავამთავრებდი გისოსებს მიღმა, ან უარეს ადგილას, მაგრამ, რათქმა უნდა მე არ შევწყვიტე წერა და აი მაშინ დაიწყო ჩემი დევნა".

დოქტორ ჯორჯმა არ შეწყვიტა თავისი ქმედებანი რეჟიმის წინააღმდეგ, მტანჯველი დევნის მიუხედავად, მან დაწერა წიგნი სახელწოდებით: „ჩემი 80 ათასი სიტყვა კომუნიზმის შესახებ". როცა მან დაამთავრა წერა,

გაგრელება მე-13 გვ.

ხმა მიეცით აბაშის მაჟორიტარ დეპუტატს კონსტანტინე გამსახურდიას

7

დასაწყისი მე-12 გვ.

გაემგზავრა მოსკოვს და გზაში გადასცა ერთ ჟურნალისტს, რათა ნაწერი გასულიყო დასავლეთში გამოსაქვეყნებლად. ჟურნალისტის სახელიც კი არ იკითხა, რათა არ გაერთულებინა საქმე.

იგი ტოვებს საბჭოთა კავშირს

„მას შემდეგ რაც ჩემს მიერ ჟურნალისტისათვის გადაცემული წიგნი არ გამოქვეყნდა დასავლეთში; გადავწყვიტე უარი მეთქვა ჩემს მოქალაქეობაზე და დამეტოვებინა საბჭოთა კაშვირი. მომენტი, ჩემი აზრით, სრულიად შესაფერისი იყო. იმ დღეს, როცა განვაცხადე ჩემი გადაწყვეტილების შესახებ 1972 წელს, მოსკოვში სტუმრად იყო ჩამოსული პრეზიდენტი ნიქსონი. კ.გ.ბ. დამიჭირა და მომათავსეს ინფექციურ საავადმყოფოში. ისინი, ჩანს, შიშობდნენ, რომ მე დავაინფიცირებდი ამ დაავადებით სხვებსაც, ანუ დაავადებით რეჟიმის წინააღმდეგ“. იმ დღიდან, როცა მომათავსეს საავადმყოფოში, დავიწყე შიმშილობა. პატენტი დამეხმარა, სამ დღეში გამანთავისუფლეს და გამაფრთხილეს, რომ შევწყვეტდი „ბრძოლას“ მათ წინააღმდეგ, მაგრამ ყველანაირი ლოგიკის მიუხედავად, არ შევჩერდი, პირიქით, ვიპოვე ერთი ამერიკელი ჟურნალისტი და ამჯერად მას გვარი და სახელი ვკითხე – სტივ ბრუნინგი, გადავეცი მას ჩემს ხელთ არსებული მთელი მასალა, მაგრამ, არც ამჯერად იხილა ჩემმა ნაწერმა მზის სინათლე“.

15 წელი ელოდა დოქტორი ჯორჯი ვიზას მსოფლიოს რამოდენიმე ქვეყნიდან, მისდა საუბედუროდ, ვიზის მიღება მხოლოდ ოცნების დონეზე რჩებოდა იმ დღემდე, სანამ იგი არ ესაუბრა თავის კარგ მეგობარს, რომელიც ებრაელიც იყო. მეგობარმა უთხრა, რომ იგი აპირებდა ისრაელში გამგზავრებას და როდესაც ჩავიდოდა, შეეცდებოდა მისთვის ვიზა გაეხერხებინა.

და მართლაც, 1972 წელს საკონსულოდან მიიღო შეტყობინება, რომ მას ელოდებოდა ისრაელის ვიზა, რუსული ხელისუფლება ყველა დონეს ხმარობდა, რომ დაეთანხმებინა იგი, უარი ეთქვა ამ სასურველ ვიზაზე, მაგრამ მან აზრი არ შეიცვალა საბჭოთა კავშირის დატოვებაზე. იგი 1973 წელს, 40 წლის ასაკში, ჩავიდა ისრაელში და პირდაპირ კიბუელ ქფარ ჰახორეშის უდიფანში მივიდა.

გერმანიის ვიზა

„ისრაელში მარტო ჩავედი, რადგან არასოდეს ვყოფილვარ დაქორწინებული. პოლიტიკას, რომელშიც მთლიანად ვიყავი ჩაფლული, ბრალი მიუძღვის იმაში, რომ დღემდე მარტო ვარ. შიშმა რომ თუ ოჯახს შევქმნიდი, მათ პრობლემებს გავუჩენდი ჩემი პოლიტიკური შეხედულების გამო, ხელი ამაღებინა ოჯახის შექმნაზე, დღეისათვის, უკვე ძალიან ვნანობ, ვინაიდან 82 წლის ასაკში არ არის ადვილი მარტოდ ყოფნა, მაშინაც კი, როცა შენარჩუნებული მაქვს „ლტოლვილის სტატუსი“ ქფარ ხორეშში ელფანის დამყარების შემდეგ მიმიწვიეს ძიების ჩასატარებლად ისრაელის უშიშროების და უსაფრთხოების სამსახურში. უშიშროების და უსაფრთხოების თანამშრომლებმა დამკითხეს, გამომიკვლიეს და მე მათ დავპირდი, რომ ორ წელიწადში დავტოვებდი ისრაელს. ულფანის დამთავრების შემდეგ, გამაგზავნეს კირიას შმონეს პოლიკლინიკაში ბავშვთა ექიმად. ორი წლის გასვლის შემდეგ, როგორც შევპირდი უშიშროების თანამშრომლებს, მოვითხოვე ვიზა გერმანიაში, ისრაელის სამუდამოდ დატოვების მიზნით. როცა დავფრინდი გერმანიის აეროპორტში, იქ ნება არ დამრთეს გავსულიყავი აეროპორტის ფარგლებს გარეთ და მეორე დღესვე დამაბრუნეს ისრაელში, რატომ მეთქვა უარი გერმანიის ხელისუფალთა მიერ, ჩემთვის გაურკვეველია. ვფიქრობ, უარი მეთქვა ჩემი პოლიტიკური შეხედულებების გამო. იმ დროს „კედელი“ ჯერ ისევ ყოფდა ბერლინს ორ ნაწილად და გერმანელებს შეეშინდათ, რომ პრობლემებს შეუქმნიდი, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, რომ ეს იყო მიზეზი, იქნებ ეს ის ლოგიკური ახსნაა, რაც თავში მომივიდა. არც ერთ სახელმწიფოს არ სურს „პრობლემების შექმნელ-მომწესრიგებლის“ მიღება.

დოქტორი ჯორჯი ბრუნდება ისრაელში და ტიბერიაში მიდის ექიმად სამუშაოდ. კირიას შმონეს მაცხოვრებლებმა, რომლებმაც შეიტყვეს მისი დაბრუნების შესახებ, მიმართეს პოლიკლინიკას თხოვნით დაებრუნებინათ დოქტორი ჯორჯი მათ ქალაქში. პოლიკლინიკამ დადებითად უპასუხა მათ თხოვნას, დოქტორი ჯორჯი დაუბრუნდა კირიათ შმონეს და 14 წელი მკურნალობდა ამ ქალაქის ბავშვებს. იგი იყო ბავშვების და მათი მშობლების საყვარელი ექიმი, პოლიკლინიკაში მომუშავე ექთნები გაუთავებლად აქებენ დოქტორ ჯორჯს და ლაპარაკობენ იმ სიამოვნებაზე, რაც მასთან მუშაობას მოაქვს. ექთანი იაფა ამბობს, რომ ის წლები, რომლებიც დოქტორ ჯორჯთან იმუშავა, გამორჩეულად სასიამოვნო სამუშაო წლებად ჩაიბეჭდა მის მეხსიერებაში, დალია თურჯემანს ახსოვს იგი, როგორც სათნო, გამოცდილი და ერთგული ექიმი, რომელიც დღე-ღამეში 24 საათს მუშაობდა.

„გულწითელა“ ჩიტუნა

„ისრაელში დაბრუნებისთანავე გავაგრძელე ექიმად მუშაობა, თავისუფალ დროს კი ვაგრძელებდი წიგნების წერას ქართულ ენაზე. დღემდე გამოქვეყნებული მაქვს 4 წიგნი, რომელიც საქართველოში გადმოიგზავნა. მეორე წიგნში მოთავსებულია მოთხრობა „გულწითელა“ ჩიტუნაზე, რომელიც თან მაცილებდა, მახლდა საქართველოდან ისრაელამდე, სანამ იგი კატამ არ იმსხვერპლა.

რამოდენიმე წლის წინ, აქ, კირიას შმონეში, ის რაც მე შემემთხვა, მხოლოდ საბავშვო ზღაპრებში შეიძლება მოხდეს.

როცა საქართველოში ვიყავი, ციცქნა „გულწითელა“ ჩიტუნა ჯდებოდა ჩემს ფანჯარაზე და ჭიკჭიკებდა. ყოველ დღე მეც სასტვენით ვპასუხობდი მას და პურის ნამცეცებით ვკვებავდი. როცა კიბუც ქფარ ჰახორეშში ჩამოვედი, ერთ დილას გაღებული ფანჯრიდან ჩიტის ჭიკჭიკი შემომესმა. წუთიერად გავიფიქრე, მეჩვენებამეთქი, მაგრამ როდესაც ფანჯრისაკენ გავიხედე, ნამდვილად დავინახე მოჭიკჭიკე ჩიტი და იმ დღიდან მოყოლებული, იმისდამიუხედავად თუ სად ვცხოვრობდი, ყოველ წელიწადს იანვრიდან აპრილამდე ჩიტუნა სულ ჩემი ფანჯრის რაფაზე იყო.

შეიძლება ეს ცოტა ფანტასტიკურად მოგეჩვენოთ, მაგრამ დამერწმუნეთ, ეს ჩიტუნა არ იყო ჩემი წარმოდგენის შედეგი, იგი ნამდვილად არსებობდა. იგი ჩემთან ერთად იყო, სანამ კატამ არ დამიფლითა თვალწინ. რაღაცა ჩამწყდა გულში ამ ჩიტთან ერთად, რომელსაც ასე ვუყვარდი და თან დამდევდა ყველგან ამ ქვეყანაზე“.

საუბარი დოქტორ ჯორჯთან, იყო ერთ-ერთი იმ საოცარი საუბრებიდან, რაც ასე დამამახსოვრდა. ტანმორჩილი და მოკრძალებული ადამიანი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე იბრძოდა ერთი მიზნისათვის – სიტყვის თავისუფლებისა და თავისუფალი ცხოვრებისათვის.

დოქტორი ჯორჯი თავის სამშობლოში დაბრუნებას აპირებს. მისი სიტყვებია: „მე ვბრუნდები ჩემს მშობლიურ ქვეყანაში, რათა ჩემი სიცოცხლე იქ დავამთავრო, საიდანაც დავიწყე იგი“.

დოქტორი ჯორჯი დასასრულს მეუბნებოდა, რომ ისრაელის სახელმწიფო მას ძალიან უყვარს. მას უყვარს ებრაელი ხალხის გულმოდგინება და სიბეჯითე, ებრაული დემოკრატია და პოლიტიკა და ტექნოლოგიური წინსვლა.

დოქტორი ჯორჯის ცხოვრება ისტორიულ მოვლენებთანაა ჩაწნული. ის ორ მსოფლიო ომს შორის დაიბადა, მეორე მსოფლიო ომში ძმა დაკარგა და მივიდა გადაწყვეტილებამდე, დაასრულოს სიცოცხლე თავის უმცროს ძმასთან ერთად, რომელიც საქართვლეოში ცხოვრობს. იგი 82 წლის ასაკში სამუდამოდ ტოვებს კირიას შმონეს და ისრაელს. იგი არ დაივიყწებს, რაც ჩვენმა ხალხმა და ისრაელის ქვეყანამ მისთვის გააკეთეს.

ჩვენ მას მხოლოდ სიკეთეს ვუსურვებთ.

ებრაულიდან თარგმანა
ზაირა დავარაშვილმა

სამშობლოს

შენზე ფიქრში, ნლობით ღამენათევმა,
გულს, რომ წენდა, სული, სისხლის დენამდე,
უცხო მხარეს, უგზო-უკვლოდ, ნათრევმა,
როგორც იქნა, მოვაღწიე შენამდე.
არა! შენ კი არ გამტყუნებ, მამულო!
შენს კარგარეთ, ჩემს ბოდიალ-წრიალში,
შენც-მეც, მაშინ, დრო გვხვდა, უსიხარულო!
წუთისოფლის, უკუღმართულ ტრიალში.
წავედი და შენთან დამრჩა, სიცოცხლე!
გულისა და სულის ყველა საუნჯე!
მინდა გწამდეს, გჯეროდეს და იცოდე! -
რომ მტერს, შენი წილი მზე ვერ, დავუთმე!
შევები და დავსცი ურჩხულს, ლახვარი!
ურჩხულს, რუსის წითელ წამოსასხამში,
მსურდა შენი ხმლით ამექნა, მსახვრალი!
რომ ბოღმა არ ჩამყოლოდა საფლავში!
არ მერია, კაცთაგანი, სწრაფვაში!
შენს კარებთან, ხმლით და აბჯრით დამდგარი!
არვინ მედგა, არც მხარში და არც ხმაში,
სამშობლოსთვის, შემართებით აღმდგარი!
მარტო ვიყავ, მარტომ განვლე უღრანი!
ჩახერგილი, ჩაბურდული, ეკლებით,
შორს შენი მზე ჩანდა სხვიჩაუმქრალი!
და ის იყო ჩემი ყოფნა! – ვედრებით!
შენი შორი, მზის სხივი, მაცოცხლებდა!
შენი ძალა მედგა ტანჯულ სხეულში!
შენი სვე და წარსული მაოცებდა!
ისტორიის „მიხვეულ-მოხვეულში“!
რა ვქნა? შენთვის ბრძოლის გზაზე დავბერდი!
რაღა შევძლო, ღვთის კართან დარჩენილმა!
დაგიბრუნდი! – რომ ის ბოლო „აბედი“, -
შენთან დავსწვა, შენზე მხარდაბრჯენილმა!

გიორგი ქართველიშვილი

1991 წლის 26 მაისს, დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტად აირჩიეს ზვიად გამსახურდია

რეკვიემი

ეძღვნება საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ხსოვნას

ზვიად გამსახურდიას სიკვდილი ქვეყნისთვის მძიმე დანაკლისია და დაუყუჩებელი ტკივილი...

ზვიადმა შექმნა ახალი საქართველო-თავისუფალი, ზნეობრივი და ღვთისმსახური ქვეყანა, რაც გამოიხატებოდა გაძლიერებულ სულიერებაში, ამაღლებაში.

მან დაამკვიდრა ახალი, ზნეობრივი ცნობიერება. იყო ერის განმაახლებელი... მითოლოგიური გმირი ტიტანური აწყვეტილობით ამსხვრევდა ბორკილებს და იბრძოდა თავისუფლებისათვის, დაეუფლა მწვერვალს.

ასეთი გმირების აპოთეოზი, სამწუხაროდ, დიდხანს არ გრძელდება – მტერთა ლეგიონი ზედ ესევა მათ. ქართველთათვის სანატრელი და სათაყვანო გმირი თავზარს სცემდა მტერს.

რამდენადაც დიდი იყო ზვიადი, იმდენად დიდი იყო მუხანათობა და ბოროტება მის მიმართ.

მისი სიცოცხლის, სიკვდილის შემდგომაც დიდხანს სჯეროდათ... ამ შემთხვევაშიც მითოლოგიზაცია მოხდა მისი. ის მარადი გმირია, გმირობა ხომ ღვთაებრივი აქტია და შესაბამისად იგი უკვდავი ფენომენია. ზვიადი ცოცხლობს ზეცაში! შეერწყა ზეშთასოფელს.

მან დაგვანახა, როგორ უნდა ემსახურო მიზანს. ის მუშაობდა ქუჩის რეჟიმში, რათა არ მოდუნებულიყო ქართველობის ძარღვი, არ შენელებულიყო საზოგადოებრივი ენერგია. გამარჯვებას შენარჩუნება უნდოდა... უბედურებისგან თავისდაღწევა მაინც არ მოხერხდა. 1992 წელს ყველა პატრიოტისთვის ჩამოდგა ცხოვრების მწუხრი...

ზვიადი იყო გამყოფი ზოლი უკეთრობასა და სიკეთეს შორის. ის ებრძოდა ბნელეთის ძალებს. იგი ხელმეორედ იშვა საქართველოს თავისუფლებასთან ერთად და დაიღუპა მასთან ერთადვე.

ზვიადი დახვრეტილი თავისუფლების სიმბოლოა.

ყეყეჩებმა, უკეთურებმა და მტარვალებმა დაამხეს და დაამარცხეს საქართველო, – „სულს მოუსართეს შავი მოწყენა“.

ეს პირშავი კაცები თავიანთ უსახურ ცხოვრებას ზლაზვნით მიათრევენ, როცა ზვიადმა დიდი მეტეორივით გაიქროლა დედამიწაზე და დატოვა ვეებერთელა ნათელი. ზვიადისნაირ ადამიანთა შინაგანი წვა ათბობს სამყაროს და უნარჩუნებს სიცოცხლეს, ტანჯვა ხომ საწვავია დიდი ადამიანობისათვის. ტანჯვაში იმალება მაცხოვრისათვის მიძღვნა თავისა და აქ ხდება შერწყმა სულიერი ერთობის საფუძველზე – მამულიშვილური წყლული ემსგავსება ჯვარზე გაკრულის წყლულს – ასე ხდება შერწყმა უფალთან, თანაზიარება.

ქართველობა მოწამებრიობაა. გვყავდა მოწამე მეფეები და გვყავს შესაბამისად მოწამე პრეზიდენტი...

ზვიადი! ზვიადი! – ირმების ბღავილივით გაისმოდა მიტინგებზე ქართველთა ძახილი. ვებრძოდით ნახევარი გულით გაგრძელებულ არსებობას. ჭირთრმენით მივუყვებოდით გზაღმართს და ვუხმობდით ნატრულ გმირს... მას შემდეგ სული კვლავ თავშესაფარს ეძებს, ვერ დაწყნარებულა...

მძიმე იყო ზვიად გამსახურდიას საქართველოში შემოსვენების დღე. საქართველოში წყვდიადის მაუწყებელი იყო ღამე გამოვლილი გზა. საოცრად თოვდა – გმირის ზეციური სიწმინდე მიეგება. სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნა საკუთარ არსებაში ვიგრძენი იმ დღეს...

ჩემ წინ ჩემი ცამეტი წლის შვილი დგას და თვალყურს მადევნებს. უეცრად ასეთ ფრაზას მეუბნება – მე შენს ცრემლთან ერთად გავიზარდე დედა. როგორ გინდა აუხსნა, რომ გამწარებული ჩავალ სამარეში და ვერანაირი დრო ამ ტკივილს ვერ წაშლის. მე კიდევ უფრო სხვანაირი დავბრუნდი იქიდან...

ბევრჯერ მითქვამს, დაობლებულ შვილის ნუკრს ვგავარ -მეთქი. ზვიადი გვასწავლიდა ყველაფერს – ბრძოლას, სიკეთეს, ავ-კარგს, ვეძებ მის ნატერფალს და მოვსტირი დედამიწას. დავკარგეთ ერის მამა, დაობლდა ქვეყანა და დაიღალა უძალო ბრძოლაში...

გრიგოლ ხანძთელმა ასე დაიტირა აშოტ დიდი: „საიდან მოგელოდე, დასავლეთით თუ ჩრდილოეთით, სამხრეთით თუ აღმოსავლით“... ახლა მესმის ამ სიტყვების არსი, როცა ვეღარსად გრძნობ საყვარელი ადამიანის მყოფობას.

საიდან მოგელოდე, ჩემო პრეზიდენტო?!

შენ ამშვენებდი დედამიწას. თავად იყავი განსხეულებული სამშობლო.

ალბათ, სიკვდილის შემდგომ ზეციურ კარიბჭესთან შენი სული შემომეგებება. ნუგეში იქნება – სიკვდილის შემდგომ!

ლალი ბარძიმაშვილი
2007 წ. აპრილი



ფაქიზი სულისა და სათნოების რაინდი

ვარაზი ვარაზიშვილი 33 წლის ასაკში შეეწირა საქართველოს დამოუკიდებლობისა და კანონიერებისათვის ბრძოლას. იგი ჯერაც უცოლშვილი იყო. პროფესიით მუსიკოსი წრფელი სიყვარულითა და ჰეროიკული აღმაფრენით ჩაერთო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, გახდა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ლიდერობით შექმნილი წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრი და იგი ჩემს ათეულში ირიცხებოდა. „ჩემი შვილები თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოში დაიბადებიან და არა, ჩემსავით მონობაში. მომავალი თაობები გაბრწყინებულ და თავისუფალ საქართველოში იცხოვრებენო“, მითხრა ბუბუნით.

საქართველოს შინაურმა და გარეშე მტრებმა არ დააცალეს ოცნების აღსრულება; იგი, ხუნტის შეიარაღებულმა რაზმებმა, მაშინდელ მთავრობის (ამჟამად პარლამენტის) სასახლესთან ახლოს მოკლეს 1991 წლის 22 დეკემბერს. ვარაზი შიშველი ხელებით, მშვიდობიანი პროტესტით იცავდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტსა და მის ეროვნულ ხელისუფლებას.

იგიც, მერაბ კოსტავას დარად, 26 მაისს იყო დაბადებული.

გურამ დანელია

საქართველოს ეროვნული გმირი

1939 წლის 26 მაისს დაიბადა სრულიად საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, ზვიად გამსახურდიას თანამოაზრე და თანამებრძოლი, ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა. იგი დისიდენტური საქმიანობის გამო 1977 წლის აპრილში ზვიად გამსახურდიასთან ერთად დააპატიმრა საბჭოთა იმპერიალისტურმა რეჟიმმა. პატიმარი მერაბ კოსტავა თბილისის კგბ-ს ციხიდან გადაიყვანეს პერმის საპატიმროში, სადაც მან 10 უმძიმესი წელი გაატარა. მერაბ კოსტავა იყო, აგრეთვე მუსიკოსი და პოეტი. გთავაზობთ მის ერთ უსათაურო ლექსს, რომლის პირობითი სათაურია „განაჩენის მოლოდინში“. მერაბ კოსტავა 1989 წლის 13 ოქტომბერს სოფელ ბორითთან, საბჭოთა კგბ-ს მიერ მოწყობილ ავტოკატასტროფაში დაიღუპა

26 მაისი

* * *

(განაჩენის მოლოდინში)

სული ნაკუწებად ნაკეპი
ქმუნვის ულეველი მიზეზი.
ფიქრები — წამახული ჭანგები.
სახეზე აკრული გისოსი.
სისხლის ნალვერდლებად დანალექი
მზერაში მტაცებლები სახლობენ,
ცხადში გასიზმრებენ მედილეგეს,
ძილში გიცხადებენ ახლობლებს.
გეკვრიან ლორწოვან გველებად
კოშმარულ ხსოვნათა რკალები,
ნაბდათ აგიხსნია მკვლელობა,
გუდათ — საიქიო ვალები,
სახე მიტკლისებრ გაგხდომია.
ნაგვემი ლეკვივით ტანჯული,
ავი წინათგრძნობა აგხდომია.
სიკვდილის ცელს ლესენ მსაჯულნი.

არ დასჭირდებიათ დოსიე
ისე ვით მოკლულებს მკურნალი,
ერთს ცივი ბებუთი აყნოსე,
მეორეს — ცხელი ტყვიის სურნელი.
ლოდინმა სული შეგიხუთა.
ფიქრობ, გადავრჩეო ეგების,
ღამეებს ზარავს შენი კუთვა,
შიშისგან უდროოდ ბერდები.
ან იქნებ გადარდებს მოკლულთა,
თალხით შემოსილი დედები.
სიცოცხლის ნასკვი გეწყვეტება,
გეცლება იმედის ნასახი.
სიკვდილი, ვით გაურკვევლობა,
ტანში დალასლასებს ცახცახით.
ადრე განაგონი იგავად,
გზარავს სულთამბრძოლის ხავილით
სჩანს შეუბრალებელ მთიბავად
და არა ცხოვრების ყვავილად.
ჟრჟოლვა სასიკვდილო ცივია.
სურვილით ვინ აღესრულება.
მაგრამ მის აჩრდილზე მძიმეა
შეხვედრა მოკლულთა სულებთან,
ზოგჯერ თევზივით დამუნჯებულს
უაზროდ გიშეშდება თვალები,
ღაწვნი ნაჟეჟივით გილურჯდება,
სანოლთან მიეთრევი წვალებით,
გსურს მიუსავლეთში გაქცევა,
გაცლა საკუთარი თავიდან,
აუხდენ ოცნებად გაქცევა
ყველაფრის დაწყება თავიდან.
უდაბურ კუნძულზე გაგრიყავს,
ზმანება ოლევისგან დევნილი,
იქაც კი არავინ არა გყავს,
ბორგავ უთვისტომოდ შთენილი,
ელი ჩასაფრებულ იქედნეს,
უმზეო ცით გადამეხილი,
გამწლეულ სხეულის ყრუ კედლებს,
აწყდება ცოფიან ვეფხვივით.
თავი ჭაღარით გადიღება,
საკნის ბედკრულო მეინახევ,
შენს სასჯელს თავზე ავიღებდი,
ოღონდ ამ ტანჯვაში არ მენახე.

უნიკალური სერვისი საქართველოში, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არა აქვს

კუკუიის სასაფლაოს ყოფილმა დირექტორმა არკადი ჭოველიძემ და მამუკა ვეკუამ შექმნეს უნიკალური სერვისი სახელწოდებით „მარადისობა“, რომლის შინაარსსა და დანიშნულებაზე თავად გვესაუბრებიან.

— ბატონო არკადი, თქვენ თქვენს ბიზნეს-პარტნიორ მამუკა ვეკუასთან ერთად დააფუძნეთ შპს „მარადისობა“. რა საზოგადოებაა ეს და რას ემსახურება იგი?

— მე და მამუკა ვეკუა ერთად ვმუშაობდით მიცვალებულთა დამკრძალავ ბიურო „ჰერმესში“. იქ მოგვივიდა იდეა შეგვექმნა შპს „მარადისობა“, რომელიც შემოინახავდა და უკვდავყოფდა გამოჩენილ ადამიანთა ხსოვნას და არა მარტო გამოჩენილ და ცნობილ ადამიანთა, არამედ ყველა იმ გარდაცვლილთა, ვისი პატრონებიც მოისურვებდნენ ამას, რამდენიმე ათეული წლის წინ, ბატონ გიგა ლორთქიფანიძისა და ბ-ნ რეზო ჩხეიძის დახმარებით ჩვენ შევქმენით „თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის პანთეონი“, რაშიც დიდად შეგვიწყო ხელი ბ-ნმა ირაკლი ანდრიაძემ და ჯემალ ზამბახიძემ. ჩვენ შედგენილი გვაქვს ალბომი გარდაცვლილ ცნობილ ადამიანებისა, რომელშიც ამომწურავადაა თავმოყრილი ყველა ცნობა მათ შესახებ. „მარადისობა“ საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ პირს, ოჯახს, ნათესავს, ინტერნეტით მოიპოვოს საჭირო ცნობები გარდაცვლილზე ფოტო, აუდიო და ვიდეო-მასალების ჩათვლით.

— თქვენ როგორ მოიპოვებთ ამ მასალებს, ეს ძალიან შრომატევადი სამუშაო იქნება, როგორ გაართმევთ თავს მას?

— ჩვენ გარდაცვლილის ოჯახის მეშვეობით მოვიპოვებთ ყველა მასალას და ყველა ცნობას და ვფიქრობთ, ამაში სიამოვნებით დაგვეხმარება ყველა ოჯახი. საზღვარგარეთ წასულ საქართველოს ყველა მოქალაქეს, შეეძლება ინტერნეტით მიიღოს ყველა ინფორმაცია მისი ოჯახის წევრის დაღუპვის, დაღუპვის მიზეზის, დაკრძალვის პროცესიის, საფლავის ადგილმდებარეობის და თვით საფლავის შემდგომი მდგომარეობის შესახებაც. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს ჩვენი სერვისი, თანდათანობით გავხადოთ იაფი და ყველასათვის ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, ჩვენ ვგეგმავთ შევქმნათ საინფორმაციო ბაზა გარდაცვლილის საგვარეულო შტოს შესახებაც. ჩვენი სერვისით, აგრეთვე ძალიან გვინდა დავეხმაროთ ჩვენს ებრაელ ძმებს, რომლებსაც ფიზიკურად უწევთ ჩამოსვლა თავიანთი გარდაცვალებულების საფლავების მოსანახულებლად; ისინი ადგილზე, ჩამოსვლის გარეშე, ჩვენი საიტის მეშვეობით მოიპოვებენ საჭირო ინფორმაციას საკუთარი წინაპრების საფლავების მდგომარეობის შესახებ, რაც მათ ადგილის მოუცვლელად შეუქმნის სიმშვიდის გარემოს შეუქმნის. ჩვენი საიტით ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ პოლიტიკურ პარტიებსაც გარდაცვლილთა ინფორმაციის მიწოდებაში მთელი საქართველოს მასშტაბით, რათა მოიხსნას ყბადაღებული „მკვდარი სულების“ პრობლემა და ყველა მის ირგვლივ გაჩენილი ეჭვი. საამისოდ ჩვენ ვგეგმავთ ჩვენი — „მარადისობის“ ოფისების გახსნას საქართველოს ყველა ქალაქსა და რაიონში. მონაცემთა ამგვარი ბაზის შექმნას, დღესდღეობით მსოფლიოში ანალოგი არა აქვს და ჩვენ ვიქნებით პირველები და ერთადერთიც. ჩვენს საიტზე დადებული იქნება აგრეთვე ინფორმაცია სად შეიძლება მიცვალებულის სასახლის ყიდვა, რა ფასებში და მასთან დაკავშირებული ყველა რიტუალის შესახებ. საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეს, რომელიც სხვადასხვა მიზეზით ვერ ჩამოდის თავისი ახლობლის დაკრძალვაზე, ჩვენი საიტით შესაძლებლობა მიეცემა ადგილზე ნახოს დაკრძალვის მთელი პროცესია, რითაც ნაწილობრივ მაინც შეძლებს თავის განცდების რეალიზებას და თვით პროცესიაში „თანამონაწილეობასაც“. ჩვენი მომსახურეობა იქნება მრავალსახეობრივი — ნეკროლოგიდან დაწყებული აუდიომასალების ჩათვლით, დიფერენცირებული ფასებით.

მამუკა ვეკუა: — ჩვენს საიტზე აგრეთვე იქნება „ფორუმი“. მაგალითად, ვიღაც ადამიანმა იცის ინფორმაცია ამა თუ იმ პირის დაღუპვის გარემოებების შესახებ — ილაპარაკებს ამაზე, ესეც ძალიან მნიშვნელოვანია.

არკადი ჭოველიძე: — კუკიის „ძმათა სასაფლაოზე“, ჩემი დირექტორობის დროს დავკრძალეთ 6 უკრაინელი მოხალისე მეომარი, რომელთა ასაკი არ აღემატებოდა 26 წელს, რომლებიც ჯაბა იოსელიანის „მხედრიონელთა“ რაზმში იბრძოდნენ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დასამხობად 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის სამხედრო გადატრიალების დროს. ჩვენს საიტზე მათ შესახებაც იქნება ინფორმაცია და არა მარტო მათ შესახებ, აგრეთვე ე.წ. დიდ სამამულო ომში დაღუპლთა და ჩვენს ისტორიულ წარსულში სხვადასხვა ომებში დაღუპულთა შესახებაც.

მაგალითად, კუკიის სასაფლაოზე დაკრძალულია ნორვეგიელი ქალბატონი დაგნი უიელი, რომელიც მოკლეს თბილისში 1901 წელს, ჩვენ ჩვენს საიტზე განვათავსებთ ყველა ინფორმაციას მის შესახებ და საქართველოში დაკრძალულ ყველა უცხოელის შესახებაც. ჩვენ ვფლობთ ინფორმაციას აფხაზეთის ომში დაღუპლთა საფლავების ადგილმდებარეობის შესახებაც, რომელსაც აგრეთვე განვათავსებთ.

მე, როგორც პროფესიონალმა შემიძლია გითხრათ, აგრეთვე რომ ნიკო ფიროსმანიშვილის დაკრძალვის გავრცელებული ვერსია, რომ იგი, თითქოს კუკიის სასაფლაოზე უნდა იყოს დაკრძალული, არალოგიკურია და თითქმის გამორიცხავს ამის ისტორიულ შესაძლებლობას. ნიკო ფიროსმანიშვილი, როგორც ყარიბი და მიუსაფარი ადამიანი გარდაიცვალა ქალაქის პირველ (მაშინდელი არამიანცის) საავადმყოფოში. იგი იმ დროისათვის არ იყო აღიარებული დიდ მხატვრად და მას კუკიის სასაფლაოზე და ისიც ცენტრალურ ნაწილში, ეკლესიის გარშემო არავინ დაკრძალავდა, არამედ, ჩემი, როგორც პროფესიონალის ვარაუდით, იგი პირველ საავადმყოფოსთან ახლომდებარე პეტრე-პავლეს სასაფლაოზე უნდა იყოს წაღებული და დაკრძალული, როგორც უპატრონო მიცვალებული, ამიტომ უფრო უპრიანი და ლოგიკურია ნიკო ფიროსმანიშვილის საფლავი ეძებონ არა კუკიაზე, არამედ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. იგი კუკიაზე რომ იყოს დაკრძალული, ჩემს მიერ უკვე დიდი ხნის აღმოჩენილი იქნებოდა. მოგეხსენებათ მე 20 წლის განმავლობაში კუკიის სასაფლაოს დირექტორი ვიყავი და მაძიებლობით საქმიანობასაც ვეწეოდი თბილისში არსებულ ყველა სასაფლაოებზე.

მამუკა ვეკუა — ჩვენი საიტი სამენოვანია და მასში განთავსებული იქნება ინფორმაცია გარდაცვლილის ეროვნების, აღმსარებლობისა და კულტურული ტრადიციების შესახებაც.

— მოკლედ, როგორც ჩანს წინ დიდი და შრომატევადი (და პერსპექტიულიც) სამუშაოები გელოდებათ და მინდა წარმატებები გისურვოთ.

— გმადლობთ, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოგვმართონ მისამართზე და ტელეფონის ნომერზე: 95-21-06, ფიროსმანის ქ, 12.

ინტერვიუ ჩაიწერა
ქეთევან ჭანტურიამ

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვითმარქვია ლიდერები

(ინტერვიუ თამარ ჩხეიძესთან)

— ქ-ნ თამარ „რესპუბლიკური პარტიის“ ლიდერები (ძმები ბერძენიშვილები, უსუფაშვილი და სხვ.) საქვეყნოდ იკვეხნიან, რომ თავიანთი პარტია, ყველაზე ძველი პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და დღემდე შემორჩა, როგორც აქტიური პოლიტიკური ორგანიზაცია. თქვენ, როგორც დისიდენტმა, შეგიძლიათ დაადასტუროთ, რომ „რესპუბლიკური პარტია“ იყო და დარჩა ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ პოლიტიკურ ძალად?

— მე ამ ორგანიზაციის ლიდერებს თავისი პარტიის შექმნის პერიოდიდან, მართალი გითხრათ არ ვიცნობდი. ჩემთვის მათი გვარები, მათი დაპატიმრების შემდგომ, გახდა ცნობილი, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ ძმები ბერძენიშვილებისა და ვახტანგ ძაბირაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლების შემდგომ მათი პარტია, როგორც დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი აღარ ფუნქციონირებდა. ამ პარტიის აღდგენა მოხდა 1989 წელს, ჩვენი ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრის, ზურაბ ჭავჭავაძის ინიციატივით. მე და ზურაბ ჭავჭავაძე ერთად ჩავედით დათო ბერძენიშვილთან და იქ ზურაბმა შესთავაზა მას, რომ აღედგინა თავისი პარტია და შემოერთებოდა ჩვენს ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას. ეს წინადადება ჭკუაში დაუჯდა დათო ბერძენიშვილს და ამის შემდგომ აღადგინა თავისი პარტია.

— მოდით დავაზუსტოთ, ეს შეთავაზება და „რესპუბლიკური პარტიის“ აღდგენა, უთუოდ მოხდა 9 აპრილის შემდგომ, რადგან საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მიმდინარე 4-9 აპრილის შიმშილობის აქციებში ძმები ბერძენიშვილები არ მონაწილეობდნენ და საერთოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ისინი არ ფიგურირებდნენ.

— დიახ, გეთანხმებით, ეროვნულ მოძრაობაში ისინი, არც წევრებად და არც ლიდერებად არ ჩანდნენ, პატიმრობიდან გათავისუფლების შემდგომ არ ფუნქციონირებდნენ.

— ამდენად, ძმები ბერძენიშვილები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვითმარქვია ლიდერებს წარმოადგენენ. თქვენთვის რამდენად მისაღებია „რესპუბლიკური პარტიის“ კონცეფცია აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით და რითი განსხვავდება მათი მიდგომა ხელისუფლების პოზიციისაგან?

— საერთოდ მათი მიდგომები ეროვნულ-პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივი საკითხებისადმი ყოვლად მიუღებელია. ისინი ასევე ემხრობოდნენ ლომაიასეულ განათლების რეფორმას, უნივერსიტეტის ნგრევა და ა.შ. აფხაზეთის საკითხისადმი მათი მიდგომაც არაფრით განსხვავდება ხელისუფლების კონცეფციისაგან. ლომაიაზე ისინი ამბობდნენ, რომ იგი ყველაზე წარმატებული მინისტრია. აფხაზეთის მოწყობის მათეული მოდელი არის აბსოლუტრად ანტისახელმწიფოებრივი, დამანგრეველი, ანტიეროვნული და ანტიდემოკრატიულიც. უფრო მეტიც, ჩვენი ხელისუფლების მოდელზე ბევრად უარესი. ეს არც ფედერაციულია. მე, საერთოდ, ანტიფედერალისტი ვარ, მაგრამ სახელისუფლო მოდელი სახელმწიფოს ფედერალისტური მოწყობისა უფრო „დემოკრატიულია“, ვიდრე რესპუბლიკელებისა, ფედერალიზმი გარედან შემოტანილი იდეაა ჩვენი სახელმწიფოს მთლიანობის დასაშლელად. თორემ რეალურად და ისტორიულად საქართველოს არც ერთ კუთხეს არასოდეს არ წამოუყენებია მოთხოვნა ცალკე პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულად არსებობის შესახებ. ასეთი შინაგანი მოთხოვნა საქართველოს ტერიტორიაზე, უბრალოდ არ არსებობს, ეს, რასაკვირველია, ხელოვნურად შექმნილი საკითხია და კარგად ვიცით, ვის აწყობს ამის აჟიტირება. ის, რასაც ისინი, ზოგადად ფედერალიზმს უწოდებენ, ის კონფედერაციაზე უფრო შორს წასული პროცესია, რაც დამღუპველია ჩვენი პატარა სახელმწიფოსათვის. „რესპუბლიკელების“ კონცეფციით აფხაზეთი, ფაქტიურად არ განიხილება საქართველოს შემადგენლობაში. რესპუბლიკელების გამოსვლებში, სტატიებში და კონცეფციაშიც, აფხაზეთი ფიგურირებს, როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო. ზაქარეიშვილი-ბოდენის კონცეფციით აფხაზეთი განიხილება, როგორც სუვერენული სახელმწიფო ერთეული, რომელიც თავისი ნებით ქმნის კავშირს, დებს ხელშეკრულებას მეორე სახელმწიფო ერთეულთან — საქართველოსთან და ამგვარი სახელშეკრულებო ურთიერთობით ქმნის ახალ სახელმწიფოს...

— ე.ი. აფხაზეთი, არა როგორც საქართველოს სახელმწიფოს ნაწილი, არამედ, როგორც ცალკე ახალი სახელმწიფო ამყარებს კავშირურთიერთობას საქართველოს სახელმწიფოსთან?

— დიახ. როგორც ორი დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო ერთეული ქმნიან კავშირს. „რესპუბლიკელების“ ზაქარეიშვილ-ბოდენის კონცეფციითა და ხედვით აფხაზეთი არ არის საქართველოს უპირობო შემადგენელი ნაწილი, ამას წინათ, წინასაარჩევნო სატელევიზიო გამოსვლის დროს ლევან ბერძენიშვილმა თქვა: ჩვენ გვეამაყება, რომ ჩვენი კონცეფცია აფხაზეთის მოდელისა, უფრო ადრინდელია, ვიდრე სააკაშვილის მთავრობისაო და ბევრად უფრო პატრიოტულიცო, რადგან ჩვენი კონცეფცია გულისხმობს ფედერალურ აფხაზეთს გამოყოფის უფლების გარეშეო, ხოლო სააკაშვილისა კი — აფხაზეთი ყველაზე ფართო ავტონომიითო, რაც დემაგოგია და ტყუილია, რადგან, თავისთავად ხელშეკრულებითი ურთიერთობა გულისხმობს გამოყოფის უფლებას, რადგან ყოველგვარი ხელშეკრულება პირობითია და არა უპირობო. შენ თუ სუვერენული ქვეყანა ხარ და შენი ნებით შექმნი კავშირს, როგორ შეიძლება ვინმემ დაგაბრკოლოს გამოყოფის მოთხოვნაში, ანუ შემდგომი ნაბიჯი გულისხმობს გამოყოფის უფლებასაც. ეს ხელშეკრულებითი ურთიერთობის იმანენტური თვისებაა,

— თქვენ წაკითხული გაქვთ მათი კონცეფცია?

— „რესპუბლიკელების“ კონცეფციის ნაწილი (და არა მთელი) გამოქვეყნდა გაზეთ „24 საათში“ და რაც წავიკითხეთ მასში უკვე ნათლად ჩანდა მთელი არსი კონცეფციისა. მაგალითად, დევნილი მოსახლეობის დაბრუნების პროცესი და პროცედურები ძალზე ბუნდოვანია, მათ უპირობო დაბრუნებას კი არ გულისხმობს, არამედ ისეთ პროცედურებს გულისხმობს, რომ ან დაბრუნდება, ან ვერა. გარდა ამისა, ზოგადად ქართველისთვის, რომელიც იქ არ ცხოვრობდა, ჩასვლა, მათი კონცეფციის მიხედვით, ადგილობრივი ხელისუფლების ნება-სურვილსა და გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. ასევე, თვითონ ხელისუფლების ფორმირების პროცესი იქ არ არის დემოკრატიული, არამედ არის ხელოვნურად შექმნილი უპირატესობა აფხაზებისათვის, რომლებიც მოსახლეობის უმცირესობას შეადგენენ, ხელოვნურად აქვთ მინიჭებული გაბატონებული პოზიციები და მოსახლეობის უმრავლესობა მოქცეულია დისკრიმინაციულ პირობებში.

— თუ მაინც მოხდა დევნილების დაბრუნება თუნდაც „რესპუბლიკელების“ და ხელისუფლების კონცეფციით, თქვენი პროგნოზით რამდენად დაცულნი იქნებიან იქ ქართველები და ექნებათ თუ არა რაიმე პერსპექტივა. მოხდება თუ არა დევნილების სრული დაბრუნება, თუ ეს იქნება „შერჩევითი“, რომლებსაც არ უბრძოლიათ „აფხაზების წინააღმდეგ“?

— ეს ყოვლად გაუმართლებელი პირობა ე.წ. „შერჩევითი დაბრუნებისა“ ჩადებული იყო შევარდნაძისეულ ხელშეკრულებაში, რასაც რესპუბლიკელებიც იზიარებდნენ, რადგან არ გაუპროტესტებიათ. თუმცა დღესაც საეჭვოა, რომ სრული დაბრუნება მოხდეს, თუნდაც იმიტომაც რომ ქართველებმა იქ კვლავ უმრავლესობა არ შეადგინონ. „რესპუბლიკელები“ აფხაზეთის საკითხზე მსჯელობისას სხვადასხვა გაზეთებში წერდნენ, რომ ბერიას დროს აფხაზეთში მოხდა ქართველთა ექსპანსია, ამგვარად, რესპუბლიკელები ქართველების აფხაზეთში ცხოვრებას განიხილავდნენ, როგორც ექსპანსიის შედეგს. აქედან გამომდინარე, თუ მაინც მოხდა დევნილების დაბრუნება „რესპუბლიკელებისა“ და საქართველოს ხელისუფლების კონცეფციით ქართველები მაინც უუფლებო მდგომარეობაში იქნებიან. ამდენად არის ორივე კონცეფცია ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი და ანტიდემოკრატიულიც. შევარდნაძემ, როდესაც ოთხმოცდათორმეტ წელს აფხაზეთი ჩააბარა, შემდგომ ვერ გაბედა მსგავსი ხელშეკრულების გაფორმება აფხაზეთთან, თუმცა ჰქონდა სურვილი და დირექტივაც რუსეთისგან, მაგრამ მაშინ შევარდნაძე სრულად იქნებოდა მხილებული საქართველოს ღალატში, შევარდნაძის გამოზრდილი სააკაშვილი კი ახლა ცდილობს გააფორმოს ასეთი ხელშეკრულება აფხაზეთთან, მაგრამ აფხაზეთსა და რუსეთს დღეს უკვე ამგვარი ხელშეკრულება, ჯერჯერობით არ აკმაყოფილებს და წინაპირობად, საქართველოს მხრიდან, აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას აყენებენ, რაც ასევე მიუღებელი არ არის „რესპუბლიკელებისათვის“.

— დიახ, „რესპუბლიკელებს“, ჩვენს საზოგადოებაში, ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი ძალისიმიჯი გააჩნიათ, მაგრამ ისინი, პარლამენტში, ალბათ კვლავაც მოხვდებიან, რადგან მათ ლობირებენ საქართველოს გარეშე და შინაური მტრები.

ესაუბრა *ქეთევან ჭანტურია*

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

მიქელანჯელო კვდებოდა!

მხცოვანი ხელოვანი აფთარივით ებრძოდა სიბერეს და მოახლოებულ საშინელ სიკვდილს. უკვირს და გაოგნებულია მიქელანჯელო, რადგან მისი ქმნილებანი, ეპოქის წინაშე, გრანიტის კლდოვან მწვერვალებად აღმართულან და მარადიული ქალაქის დიდებას წარმოადგენენ; მხატვრის სიცოცხლის დასასრული კი მოახლოებულიყო. დიდმა მოქანდაკემ კარგად იცის თავისი იშვიათი ნიჭის ფასი... განცვიფრებულია, ასე ჩქარა, როგორ შემოადნა რამოდენიმე ათეული ბობოქარი წელი; არა და რაა დიდი მხატვრისთვის ცხრა ათეული? „დავითის“ ქანდაკების ავტორისთვის, „მიჯაჭვული მონების“, „მოსეს“ და „პიეტებისა“, განსაკუთრებით ბოლო პერიოდის „პიეტა“, რომელიც მარად თანამედროვე ქანდაკებად დარჩება...

გადავხედოთ ავტორის საოცრად ჰარმონიულ და რომანტიულ „დღე და ღამეს“, ხოლო ყველასათვის მომნუსხველი და ცალკე საკვირველებაა ქანდაკებათა შორის „მიჯაჭვული მონები“. ღმერთო ჩემო, მადლობა შენდა, როგორი უსაზღვრო ზეძალა ჰქონია ადამიანის ნიჭსა და გენიას. ეს სასწაული წყვილი ქანდაკებები, ზეადამიანური შთაგონებით და ღვთიური გენიითაა მარმარილოს ძვირფასი ქვისაგან გამოქანდაკებული და მათგან, საკვირველი და შემაშფოთებელი, ახლად ამოხეთქილი ვულკანივით ყრუ ჭექა-ქუხილი გაისმის; „მიჯაჭვულ მონებში“ დედამიწის შინაგანი უშრეტი ძალის უზომო მასაა ჩაღვრილი. მიქელანჯელოს ამ ქანდაკებათ, თანამედროვეობიდან, ანტუან ბურდელის ისრის მტყორცნელი თუ უდგას გვერდით (ბურდელის ეს ქანდაკება პარიზში, დორსეის მუზეუმის მეორე სართულზეა ექსპონირებული) კანტიკუნტად, მაგრამ კაცობრიობის უწყვეტი გენიის ახალ და ახალ განვითარებაში აღმოცენდება ხოლმე ცივლიზაციის საოცრებანი, თავის დროზე ამდაგვარმა პროცესმა შვა მიქელანჯელოს მეშვეობით, ქანდაკება „დავითი“ და „მიჯაჭვული მონები“. ამ გასაოცარ ქმნილებებში, ძვირფას მარმარილოს ქვაში, დაუტევადი სული და კოსმიური ძალაა შესისხლხორცებული. მასში მარმარილოს ქვის ფაქტურასა და ფიზიკურ წონას ვერ გრძნობ; აქ მხოლოდ ქანდაკების ღვთიური თვისებები და მარადიული სულიერებაა აფეთქებული, მხატვრის გენიის შემოქმედებითი სულის აწყვეტის, მუზათა გახელების, ზღვარს გადაცილებული ვნებათაღელვის და ფანტაზიის ალმაფრენის კულმინაციაა.

უნიკალური ლუვრის მუზეუმის, ძველი რომაული და იტალიის აღორძინების ხანის ქანდაკებათა დიდ დარბაზში, თითქოსდა ვერ ეტევიან მიქელანჯელოს „მიჯაჭვული მონები“, უსასრულოდ იტანჯებიან და უხილავად ილეწება მათი სული და ძვლები, გაწყვეტამდეა დაჭიმული კუნთები, დაბერილი არტერია, ძარღვები და აწეწილი ნერვები. მათგან გახეთქვასაა დარბაზის სივრცის და გარემოს განწყობილება. ოცნებაშიც ვერ ჯდება ფიქრი იმაზე, რომ ისინი როდისმე აიწყვეტენ და უმძიმესი ტანჯვისგან განთავისუფლდებიან; იმდენად არიან მტკიცე ლვედით და უხილავი კოლოსალური ძალით შეკრულნი. სიმბოლურია აქ ყოველივე: რომ ადამიანი მარადიულ ტანჯვაშია და დედამიწაზე, სიცოცხლის დასასრულამდე მონობისთვისაა გაჩენილი. ჩვენს ურთულეს პლანეტაზე ჩამობრძანებით მაცხოვარმაც ხომ იგივე პროცესი განიცადა, თუმცა ადამიანებს უზომო სიყვარული და სიკეთე გვიბოძა. ალბათ, ბობოქარი სამყაროს პატრონს და მის შემხედვარეს, არც თავის საღმრთო საბრძანებელშიც ექნება მშვიდი და ნათელი გარემო; ჩვენ წინაა უტყუარი ისტორიული სურათი, – სამყაროში უმცირესმა ჩვენმა პლანეტამ რა დღეში ჩააგდო კეთილი იესო, უმოწყალოდ აწამეს და გააძევეს თავისი ატალახებული მიწის უბოროტესმა შვილებმა.

ერთ დროს მეფეთა, დედოფალთა, კარდინალთა და დიდებულთა მჩქეფარე ცხოვრების ამსახველი მატიანე, ლუვრის კედლები; „მიჯაჭვული მონების“ გაუთავებელი სტუმრობით უკიდურესად დაძაბული და ფსიქოლოგიურად შეკუმშულია. თავად ავტორი მიქელანჯელო კი შორს, იტალიის მიწას, შერწყმია და მისგან არაფერი ისმის, მხოლოდ მისი „მიჯაჭვული მონები“ უსასრულო დროით შებმიან მიწიერ დრამას. მათ ირგვლივ შემოჯარული დუმილის ქანდაკებები, იმპერატორთა, ბრძენთა, პოეტთა და დიდებულთა ბიუსტები, ამდაგვარი წამების ცქერით განცვიფირებულან. დღევანდელი, გაოგნებული და მორჩილი მაყურებელი მდუმარედ დადის. ამ დაძაბულ სივრცეგარემოში კოსმიური ხრიალით ესმის მოხუცი მიქელანჯელოს სულის ჩივილ-გოდებისა.



„ვარ მარტოსული და განწირული
და მომწყვდეული, როგორც ქერქია ხისა...
მე ვბზუი ისე, როგორც კრაზანა,
ძვლისა და ტყავის ტომარაში მოთავსებული...“

მიქელანჯელო, როგორც ტიტანი ადამიანი და მოქანდაკე, მიწიერი და კოსმიური, დიდი ძალაა, ფიდიასის მერე საოცარი მოვლენაა; ასევე ყველა დროის ბელადზე, მეფეზე და იმპერატორზე აღმატებული და მაინც, სანამდე მიიყვანა კოსმოსის შეუჩერებელმა დროის დინებამ და მისმა მიუკარება განაჩენმა. ასეთი სასწაულთმოქმედი ადამიანი, მიქელანჯელო, თანდათან საშინელ წყვდიადს ბარდებოდა. კოსმოსი – დრო, სივრცე-გარემო და გარდამავლობა, უმოწყალოდ, ზემიწიერი ძალ-ღონით ქვესკნელისკენ ექაჩებოდა და დაუნდობლად სპობდა დიდ ხელოვანს... მოქანდაკის უკვდავი შედევრები კი განზე იდგა, საოცრება „სიქსტის კაპელას“ ჭერის მოხატულობაც თავისთვის ბობოქრობდა. ამ დროს სულგრძელი მიქელანჯელო თავის ქმნილებებს ხელს არ უშლიდა და უპატიოსნესი ბერივით მორჩილი იდგა მათ წინაშე, თანაც, ბავშვივით უკვირდა, რა ადვილად ერეოდა და ცვეთდა უხილავი ძალა. კოსმიური შავი ჩრდილი უმოწყალოდ ანადგურებდა მის ადამიანურ ბუნებას და უსაშველოდ მიაქანებდა იმქვეყნად ანუ მიწიერ ყოფაში. მიწა უხმობდა უახლოესი, დიდი და ურთულესი კოსმიური ფენომენი... საბოლოოდ მაინც ასეთი ბუმბერაზი ადამიანი და ბიბლიურ ხელოვნებას შეწირული მოქანდაკე ამდაგვარ სასტიკ აღსასრულს, ალბათ არ მოელოდა, მაგრამ კოსმიური ნება ყველასგან დაუკითხავად ჯიუტად მოქმედებდა. უკიდურესად გახელებული „მიჯაჭვული მონები“ კი ბრდღვნიდა გარემოს. ამასობაში მიქელანჯელოს ტანჯვის ბორცვზე შემდგარი სული მწარედ გვახსენებდა:

„ჩემი კბილები ისე ირყევა,
ვით კლავიშები კლავესინისა...
მაქვს პირისახე გაფითრებული...
ცალ ყურში მიზის მე ობობა ქსელის მქსოველი“.

ამგვარად მოტეხა მიწიერმა და კოსმიურმა ბუნებამ ერთ დროს უდრეკი და შეუპოვარი მიქელანჯელო და ჩვეულებრივ მოკვდავს გაუთანაბრა.

„მღერის ჭრიჭინა მეორეში გათენებამდე...
ისე ვხრიალებ, თვალებს რული არ ეკარება.
მე დიდებას რომ აღმითქვამდა, იმ ხელოვნებამ აი,
სადამდე მიმიყვანა, როგორ გათავდა“.

სინანულით საყვედურობს ხელოვნებას ხოლო სდუმან და ძლიერი პლანეტების დარად დგანან მისი „დავითი“, „პიეტა“, „მოსე“, „სიქსტის კაპელას“ საოცრება ფრესკები, „მიჯაჭვული მონები“ და მრავლაი სხვა, სამყაროს მთლიანობას შერწყმიან ისინი და ავტორის მალე გამიწიერება, არც ადარდებთ. ასეთი ბედისწერისაა ყოველი დიდი შემოქმედის ცხოვრება.

ასეთივე სასტიკ ბედისწერას ვერ ასცდა ლეონარდო და ვინჩიც; ლოგინად ჩავარდნილი მოხუცი ლეონარდო, იმედის თვალით და განცდით დახვდა საფრანგეთის მეფეს, მეფეც ჩაეხუტა და მიეფერა მომაკვდავ ტიტანს, მაგრამ ბუნების ძალუმ პროცესს მეფეც ვერ შეაჩერებდა; მერმე, მცირედ დარჩენილ დროს, ლეონარდო და ვინჩი მოწყალების თვალით შეჰყურებდა მის წინ მოლბერტზე დაბრძანებულ „ჯოკონდას“, საოცარ ქმნილებას. მავედრებული მზერით შესციცინებდა და, ვინ იცის, ამ უსაშველო უბედურებიდან ხსნის გარდა, კიდევ რას სთხოვდა თავის ყველაზე მნიშვნელოვან შედევრს. მაგრამ „ჯოკონდა“ შორეულ სიღრმეში იმზირებოდა და ვერ გრძნობდა შემქნელის უმძიმეს გასაჭირს.

მიქელანჯელოც, დედამიწის ჯანმრთელი ნიჭი და უწყვეტი არტერია, ვერ შერიგებოდა სიბერეს და სიკვდილს, კოსმიურ მკაცრ გარდუვალობას. აი, როგორ მწარე და ტრაგიკულ სულიერ სურათს გვიხატავს იგი:

„მე ვარ მოხუცი, უბადრუკი და გათელილი
და ბედშავს ახლა სიკვდილი თუ მიშველის მხოლოდ...
მოქანცული ვარ, გატანჯული და მოტეხილი,
ჩემი სასტუმრო ერთადერთი არის სიკვდილი...“

მიქელანჯელო უკანასკნელად შეებრძოლა სიკვდილს და, – მიშველეთო, – ხრიალით აღმოხდა, მაგრამ მის წინაშე დუმდა ყოველი და ყოველივე... მასთან მხოლოდ კოსმიური უძლეველი ძალა აქტიურობდა, შავი, უზარმაზარი სიკვდილის უხილავი მასა მძიმედ მოჩოჩავდა მისკენ სასტიკ ჯალათად, თავის ბნელ საქმეს ასრულებდა და არავის ემორჩილებოდა. დაუძლურებული მხატვარი ნელინელ ბარდებოდა და მორჩილობდა... მიქელანჯელოს ქმნილებანი კი, არც ერთის საქმეში არ ერეოდნენ, მიწიერი სიკვდილ-სიცოცხლე მათთვის ხომ ძალიან შორეული იყო და სრულიად უცხო განზომილება. ყოველ შედევრთა უცნაურ დამოუკიდებლობას და უცხო გაურკვეველ განდგომილებას მივყავართ ისეთ დასკვნამდე, რომ ისინი უთუოდ იმ მესამე რაღაცაში უშუალო კონტაქტში არიან, რომელიც ჩვენგან ძალიან შორეულია, რის ძიებასაც უმოწყალოდ შეეწირა მისტიკოსი პოეტი ტერენტი გრანელი. ის მესამე რაღაც გონმიუწვდომელი ფენომენია, ბოლომდე შეუცნობადი, ალბათ სამყაროსაც გააჩნია თავისივე ზომის და სიდიდის ინსტინქტი, რაც თავისთავად შეუვალ იდუმალებას წარმოადგენს.

მარადიული შედევრების ავტორი კვდებოდა, დიდ ხელოვანს დრო უსწრებდა და სამოქმედოდ სიკვდილი ჩამოეგდო. ყოველივეს გამანადგურებელს შეევიწროებინა გარემო და არამიწიერი სუნი ტრიალებდა ირგვლივ. მიქელანჯელო კვდებოდა, იქვე ახლოს, მეზობელ სახლში ბავშვი იბადებოდა. აქ კი შედევრთა მშობიარობა დასრულებულიყო და მრავალწერტილმა ვარსკვლავეთამდის ააღწია...

რეზო ადამია

კოსოვოსა და მეტოხიის პრობლემა – კვაზისახელმწიფო და გიგანტების სტრატეგია

დავით არაბიძე



1999 წელს აშშ-ს „დემოკრატი პრეზიდენტის" ბ. კლინტონის მმართველობისას, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მადლენ ოლბრაიტის დაჟინებული მოთხოვნით დაიწყო იუგოსლავიის (სერბეთი და ჩერნოგორია) დაბომბვა (არგუმენტი იყო: „რა საჭიროა აშშ-სთვის ასეთი დიდი სამხედრო ძალის ფლობა, თუ მას იგი არ გამოიყენებს"). თითქმის სამი თვის განმავლობაში მარტოდ დარჩენილი იუგოსლავია განიცდიდა NATO-ს 19 ქვეყნის საავიაციო და სარაკეტო ძლიერების ძალას. სერბებისთვის განსაკუთრებით მტკივნეული იყო რუსეთის პრეზიდენტის ბ. ელცინის ღალატი (რომელმაც დაპირების მიუხედავად იუგოსლავიის არმიას არ გადასცა ჰაერსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსები) და ჩეხეთის რესპუბლიკის მიერ NATO-ს ბომბდამშენებისთვის აეროდრომების დათმობა (მაგალითისთვის უნდა ითქვას, როცა 1938 წელს ჩეხოსლოვაკიას ჰიტლერის აგრესია დაემუქრა, 100 ათასზე მეტი სერბი მოხალისეთა ლაშქარში ჩაეწერა, რათა დაეცვათ ჩეხები). იუგოსლავიის ლიდერი ს. მილოშევიჩი საბოლოოდ იძულებული გახდა კოსოვოსა და მეტოხიიდან ჯარი და სერბული ადმინისტრაცია გამოეყვანა. 2008 წლის 17 თებერვალს ფინეთის ყოფილი პრეზიდენტის მარტი ახტისაარის გეგმით (ჰიტლერის მიერ შექმნილი ბოჰემიის „სახელმწიფოს" მსგავსად) შეიქმნა ევროკავშირის პროტექტორატი კოსოვოს კვაზი-სახელმწიფო. ამ პრობლემის ევროკავშირის პროტექტორატის ქვეშ მყოფი კვაზი-სახელმწიფოს შეკოწიწებით გადაწყვეტა განპირობებულია შემდეგი მიზეზებით: 1999 წლიდან განსხვავებით დღეს მსოფლიოს ერთადერთი ჰიპერსახელმწიფოს — აშშ-ს წინაშე დიამეტრალურად სხვა ამოცანები დგას; 2001 წლის 11 სექტემბერმა აჩვენა, რომ XX საუკუნის 80-იან წლებში აშშ-სა და ისლამურ ფუნდამენტალიზმს შორის ჩამოყალიბებული ალიანსი, რომლის იდეოლოგიური საფუძველი იყო ბრძოლა მარქსიზმ-ლენინიზმთან (ამ ალიანსის თვალნათელი დადასტურება იყო აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჯორჯ შულცის (ეთნიკური ებრაელი) პირადი ვიზიტი პაკისტანში არსებულ ავღანელ მოჯახედთა სამხედრო-პოლიტიკურ ბანაკში 1983 წელს) აღარ არსებობდა. აშშ-ს პრეზიდენტი ბ. კლინტონი ცდილობდა ბოსნიაში — სლავი მუსულმანებისა და კოსოვოს, მეტოხიასა და მაკედონიაში ალბანელი მუსულმანების მხარდაჭერით კვლავ გაეხანგრძლივებინა ეს ალიანსი, მაგრამ ისლამურმა ფუნდამენტალიზმმა ნათლად დაინახა, რომ 1991 წელს აშშ-მ არ დაუშვა XIX საუკუნის ბოლოს ბრიტანეთის იმპერიალიზმის მიერ ერაყისგან (ბასრის ვილაეთისგან) მოწყვეტილი კუვეიტის კვლავ ერაყთან მიერთება, რამეთუ, გაერთიანებული დიდი ერაყი მსოფლიოს ნავთობმარაგის 1/3-ზე მეტის პატრონი გახდებოდა. ისლამური ფუნდამენტალიზმი კი მიიღებდა მყარ ეკონომიკურ გარანტიას და ისტორიულ პერსპექტივას. აშშ-მ კი რა შესთავაზა მას? — ბოსნიისა და კოსოვოს კვაზი-სახელმწიფოები, დონორთა პერმანენტულ დახმარებაზე სრულად დამოკიდებული, უსიცოცხლო წარმონაქმნები, მეტიც აშშ-მ 2003 წელს მოახდინა ერაყის სრული ოკუპაცია, ისევე როგორც ეს მან გააკეთა 2001 წელს ავღანეთის მიმართ, სადაც დასვა მარიონეტული რეჟიმები, მეტიც, კოსოვოს კვაზი-სახელმწიფოს „დამოუკიდებლობის" დეკლარაციაში არ დაუშვა ალაჰის სახელის ხსენებაც კი, მაშინ, როცა მაგალითად პროსაბჭოური ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ძირითადი პრინციპების დოკუმენტი ალაჰის სახელით იწყებოდა.

დღეს აშშ-ს სხვა სტრატეგიული პრიორიტეტები აქვს, ესაა რუსეთის იმპერიული ამბიციების აფეთქება, ჩინეთის ეკონომიკური სასწაული და ჩინელთა ეკონომიკური ექსპანსია, ატომური ბომბი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხელში, ირანის გარჯა შექმნას დამოუკიდებელი ბირთვული ენერგეტიკა. აშშ-მ ინტერესი დაკარგა შიდა ევროპული პოლიტიკური პრობლემების მოგვარებაზე, მან კოსოვოში ხელში ჩაიგდო ბალკანეთში ყველაზე სტრატეგიული სამხედრო ბაზა და დანარჩენი ევროკავშირს გადაულოცა, რაზეც ევროკავშირი უარს ვერ იტყვის, რადგან კავშირის თანამშრომლობის გაღრმავების სტრატეგიას ანხორციელებს, რომლის ცენტრალური ამოცანაა ევროკავშირის ერთიანი საგარეო თავდაცვითი პოლიტიკის შექმნა, ევროკავშირის მიერ ამ სტრატეგიაზე უარის თქმა ნიშნავს გაიზიაროს საბჭოთა კავშირის ბედი, ამიტომაც იგი თანახმაა კოსოვოს პოლიტიკურ პრობლემაზე იზრუნოს. დიახ, კოსოვოს კვაზი-სახელმწიფო უსიცოცხლო წარმონაქმნია. მიუხედავად იმისა, რომ იქ ევროპული დონის საავტომობილო ტრასებია, დახარჯულმა მილიარდებმა კოსოვოს საწარმოო ძალები არ განავითარა, ეს ფინანსური სახსრები კორუფციული სქემებით ამერიკელი, ევროპელი ჩინოვნიკებისა და ადგილობრივი ალბანელი მაფიოზებისა და პოლიტიკანების ჯიბეებში დაილექა. რა მიიღეს კოსოვოელმა ალბანელებმა? მათი მოსახლეობის 2/3-ზე მეტი უმუშევარია, ხოლო ვინც ამერიკულ ან ევროპულ მისიებში არის დასაქმებული, ისინიც მხოლოდ დამლაგებლები, შოფრები, ყარაულები ან საუკეთესო შემთხვევაში თარჯიმნები არიან. აი, ასეთი „თავისუფლება" მოუტანა სეპარატიზმმა მათ. შედეგად, კოსოვოში ჰყვავის მაფია, მხარე ქცეულია ნარკოტიკების გიგანტურ საწყობად და მონათვაჭრობის ცენტრად. კოსოვოს კვაზი-სახელმწიფოს „მთავრობის მეთაური" ხაშიმ ტაჩი კი შვეიცარიელი ყოფილი პროკურორის კარლა დელ პონტეს მიერ ადამიანთა ორგანოებით ვაჭრად არის გამოცხადებული.

გაეროს უშიშროების საბჭოს 1999 წლის - 1244 რეზოლუცია ზუსტად ადგენდა, რომ კოსოვოს პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსზე მოლაპარაკებები დაიწყებოდა მხოლოდ ყველა დევნილის შინ ღირსეულად და უსაფრთხოდ დაბრუნების შემდგომ. გაეროს უმაღლესი კომისრის მონაცემებით, საკუთარ სახლებში ნებაყოფლობით 14 ათასი ადამიანი დაბრუნდა, ხოლო 20 ათასი იძულებით დააბრუნეს და ეს ამ ადამიანთა საერთო რიცხვის 5%-ზე ნაკლებია, აღსანიშნავია ისიც, რომ კოსოვოში დღეს მცხოვრები 150 ათასი სერბი გეტოებშია გამოკეტილი და მათ უსაფრთხოებას მხოლოდ საერთაშორისო სამშვიდობო კონტინგენტის ფაქტორი იცავს. კოსოვოელმა სეპარატისტებმა დროშაზე 6 ვარსკვლავი კი გამოხატეს (ვითომცდა მხარის 6 თემის ნიშნად), მაგრამ 150 ეკლესია და მონასტერი (მხოლოდ მართლმადიდებლური) დაწვეს და დაანგრიეს, ათეულობით სერბული სოფელი გადაბუგეს. კოსოვოს „დამოუკიდებლობა" კი ისე გამოცხადდა, რომ არც ამ ვანდალიზმს და ბარბაროსობას და არც დევნილთა ტანჯვა-ვაებას ყურადღება არ მიექცა, რაც საერთაშორისო სამართლის, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიზმის პრინციპების ფეხქვეშ გათელვაა. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი არ სცნობს კოლექტიურ პასუხისმგებლობას, დღეს სერბები კოლექტიურად ისჯებიან, რადგან არ სურთ შეეგუონ მათი სამშობლოს გახლეჩას, მშობლიურ კოსოვოსა და მეტოხიაში ეროვნულ უმცირესობად ქცევას.

სერბეთმა 1999 წლის შემდეგ კოსოვოსა და მეტოხიიდან 200 ათასზე მეტი სერბი და 100 ათასამდე ბოშა შეიფარა. ევროკავშირმა სერბეთი დაავალდებულა ხელშეკრულებით, რომ კოსოვოსა და მეტოხიიდან გამოდევნილი ყველა პირი, რომელიც ვერ მიიღებდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს თანხმობას, კვლავ სერბეთში იქნებოდა დეპორტირებული. სერბეთიც იღებს ამ ადამიანებს და მათი რიცხვი ათეულ ათასობითია.

მას შემდეგ, რაც 2008 წლის 17 თებერვალს შეიქმნა „დამოუკიდებელი" კოსოვო, ამ მხარიდან დევნილი მოსახლეობის ბედი კიდევ უფრო უიმედო გახდა. კოსოვოელმა სეპარატისტებმა ყოველგვარი დაინტერესება დაკარგეს ლტოლვილთა და დევნილთა დაბრუნების საკითხში და საერთაშორისო ორგანიზაციებიც მათ უკვე აღარც აწუხებენ. გაერომ, NATO-მ, ეუთო-მ პრაქტიკულად არაფერი გააკეთა „მულტიეთნიკური კოსოვოს" განვითარებისთვის. ევროკავშირი ცდილობს რა გადაწყვიტოს ეს პრობლემა, მცდარ კურსს ადგას. სერბეთი დღეს ეროვნული დამცირების რეჟიმშია ჩაყენებული, ევროკავშირი კი ლტოლვილთა კვლავ სერბეთში დეპორტაციით განუზომლად ზრდის სერბეთის დამცირებას და ეს მაშინ, როცა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა ჟენევის კონვენციის შესაბამისად ვალდებულია დაეხმაროს და შეიფაროს კოსოვოდან გამოდევნილი ადამიანები. თუმცა დღეს საერთაშორისო სამართალი კვლავ დაუბრუნდა XX საუკუნის დამდეგის მდგომარეობას. აფრიკის დეკოლონიზაციისთვის გამოყენებული ერთა თვითგამორკვევის პრინციპი დღეს პრობლემად ექცა ევროპის, აზიისა და იბეროამერიკის ქვეყნებსაც. ფინეთში — შვედები, ბრიტანეთში — ირლანდიელები და შოტლანდიელები, საფრანგეთში — ბასკები, ბრეტონელები და კორსიკელები, ესპანეთში — ბასკები, კატალონიელები, და გალისიელები, იტალიაში — ტიროლელი გერმანელები, რუმინეთში — უნგრელები... ესაა არასრული სია კონფლიქტების, ჯერ მდორედ მიმდინარე კონფლიქტებისა, ხოლო აზიაში არა ერთ ქვეყანაში - (თვალსაჩინო მაგალითია შრილანკა, სადაც ტამილელი სეპარატისტების ტერორი რამდენიმე ათეული წელია, რაც გრძელდება). იბეროამერიკაში — ბოლივიის რესპუბლიკაში სანტა-კრუსის ნავთობით მდიდარ მხარეში უკვე დაიწყო სეპარატიზმისკენ მიმართული პოლიტიკური მოქმედებები. ეს დიდი კატაკლიზმების დასაწყისია.

აშშ-მ კოსოვოს კვაზი-სახელმწიფოს შეკოწიწებით და პრობლემის ევროკავშირისადმი გადალოცვით, ხელები გაითავისუფლა აზიის მიმართულებით სამოქმედოდ, რადგან ეს მიმართულებაა მისთვის დღეს პრიორიტეტული და სტრატეგიულია. ევროკავშირს სურს გაექცეს საბჭოთა კავშირის ბედს და ცდილობს ყველანი უმცირესობაში მოაქციოს, ამ პირობებში მისთვის გაცილებით იოლია აბსორბცია გაუწიოს პატარა, სუსტ და თუნდაც მუდმივად დონორზე დამოკიდებულ კვაზი-სახელმწიფოებს, ვიდრე ცალ-ცალკე ესაუბროს მეტნაკლებად დიდ და გამძლე სახელმწიფოებს (მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ პოლონეთი, რომელმაც წარმატებით დაბლოკა ურთიერთობა ევროპის კავშირსა და რუსეთის ფედერაციას შორის). ევროკავშირი ცდილობს შექმნას საერთო არმია, რომლის ავანგარდში გერმანია და საფრანგეთია. ამ მიმართულების წარმატებით განვითარებისთვის მათ, რა თქმა უნდა, საგარეო თავდაცვის პოლიტიკის კონსოლიდაცია ესაჭიროებათ. კოსოვოს კვაზი-სახელმწიფო მათთვის ხელსაყრელი ლაბორატორიაა, სადაც დამუშავდება იდეოლოგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური კონცეფციები და პროგრამები, რაც საბოლოო ჯამში ევროკავშირის გეოსტრატეგიულ აქციებში აისახება. ეს ცინიზმია, მაგრამ ევროსტრატეგების თვალსაზრისით ერთადერთი საშუალება, რათა ევროკავშირმა საბჭოთა კავშირის ბედი არ გაიზიაროს.

გიგანტებს, რა თქმა უნდა, საკუთარი გეოსტრატეგიული ინტერესები აქვთ, მაგრამ საქართველოს შეუძლია ამ გეოსტრატეგიულ ინტერესების გათვალისწინებით საკუთარი ეროვნული, სასიცოცხლო მიზნები — დამოუკიდებლობა, ერთიანობა, კეთილდღეობა განახორციელოს. დღეს საქართველოს შეუძლია მობილიზაციის, კოორდინაციისა და ფაქიზი ბალანსირების გზით მიაღწიოს ყველა სტრატეგიულ მიზანს.

მთავარ ეპისკოპოსი წმ. ნიკოლაოზ მირონ ლიკიისა

(22(9) მაისი — ხსენება წმ. ნიკოლოზ სასწაულთმოქმედისა)

ტროპარი

კანონად სარწმუნოებისა და რაჯად სიმშვიდისა და მოძღვრად მარხვისა გყო შენ ქრისტემან, სამწყსოსა შენისათვის ჭეშმარიტებით, ამისთვისცა მოიგე სიმდაბლითა სიმაღლე და სიგლახაკითა სიმდიდრე, წმინდაო დიდო მღვდელთმთავარო ნიკოლოზ, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის.

წმ. ნიკოლაოზ დაიბადა ლიკიის ქალაქ პატარში. მისი მშობლები თეოფანე და ნონნა იყვნენ კეთილშობილნი, მდიდარნი და კეთილმსახურნი. ყმაწვილობითგანვე ეწეოდა მას მადლი ღვთისა. როცა წამოიზარდა, მან გამოიჩინა მიდრეკილება მეტისმეტი მოთმინებისადმი და განმარტოებული ცხოვრებისადმი. ის იყო მეტად მშვიდი, წყნარი და ღვთის მოშიში; უყვარდა ტაძარში ყოფა, ლოცვა და საღმრთო წერილის კითხვა. მას ყავდა ბიძა — პატარის ეპისკოპოსი ნიკოლაოზი, რომელმანც აკურთხა იგი მღვდლად და როცა თვითონ პალესტინაში წავიდა წმიდა ადგილების თაყვანისსაცემლად, მიანდო წმ. ნიკოლაოზს ეპარქიის მართვა. ამ დროს მას მოუკვდა მშობლები და დარჩა დიდძალი სიმდიდრე, რომელიც მან დაურიგა ღარიბთა და გაჭირვებულთა. მისი მოწყალების საქმე აურაცხელია. მათ შორის შესანიშნავია შემდგომი: ქალაქ პატარში იყო ერთი მდიდარი კაცი, რომელმაც უბედური შემთხვევის გამო სრულიად დაკარგა თავისი სიმდიდრე და დიდ სიღარიბეში ჩავარდა. მას ყავდა სამი გაუთხოვარი ქალი. მამამ არ იცოდა რით ეპატრონებია მათთვის, ან თავისთვის რა ნუგეში მიეცა და ძლიერ ცუდი აზრები მოდიოდა მას; მაგრამ წმ. ნიკოლაოზმა იხსნა ის გაჭირვებისაგან: ღამე ჩუმად მივიდა ნიკოლაოზი იმ კაცის სახლთან და ერთი ქისა ოქრო შეუგდო ქოხში. მეორე დღეს, როცა კაცმა ოქრო ნახა, ის ძლიერ გაკვირდა, მაგრამ ვერ გაიგო, ვინ უყო წყალობა. ამ ფულებით მან გაათხოვა უფროსი ქალი. მერმე წმ. ნიკოლაოზმა კიდევ შეუგდო მეორე ქისა ოქრო, კაცმა კიდევ ვერ გაიგო, ვინაა ეგეთი ღვთის კაცი. მეორე ქალი გაათხოვა და იფიქრა: იქნება მესამეთაც მოვიდეს უცნობი მოწყალეო და დარაჯი დაუწყო, უნდოდა შეეტყო, ვინ იყო. მართლაც, ყველას რომ დაეძინა, მივიდა წმ. ნიკოლაოზ და მესამე ქისა ოქრო შეუგდო. კაცი გაედევნა და, როცა დაეწია, იცნო წმ. ნიკოლაოზი, დავარდა მის წინ, თაყვანი სცა და დიდი მადლობა შესწირა. წმ. ნიკოლაოზს არ უნდოდა, რომ მისი მოწყალება სხვას გაეგო და უთხრა მას, რომ არავისთვის არ ეთქვა ეს ამბავი. როცა ბიძამისი დაბრუნდა პალესტინითგან, წმ. ნიკოლაოზ თვითონ წავიდა იქ წმიდა ადგილების თაყვანის საცემლად ზღვით. გზაზე მან დააცხრო გრიგალი ქარი და ზღვის ღელვა და აღადგინა მეხომალდე, რომელიც ანძითგან გადმოვარდა და მოკვდა. წმ. ნიკოლაოზმა პალესტინაში დაიარა ყველა წმიდა ადგილები და თაყვანი სცა მათ. იქ დარჩა კარგა ხანს და მერმე დაბრუნდა სამშობლოში, და ღვთის განგებით, დადგენილ იქნა ლიკიის მთავარ ეპისკოპოსად. იქ მან გამოიჩინა დიდი მოღვაწეობა ყოველ კეთილ საქმეში და იყო მაგალითი თავისი სამწყსოსთვის: თვითონ იცვამდა უბრალო ტანისამოსს, ჭამდა დღეში ერთხელ, საღამოობით. მისი სახლის კარები ყველასათვის ყოველთვის ღია იყო: იღებდა ყველას სიხარულით და სიყვარულით. ის იყო მამა ობოლთა, მზრდელი მშიერთა, მწუხარეთა ნუგეშინის მცემელი, სნეულთა მკურნალი, შიშველთა სამოსელი, შემწე შეუწევნელთა. წმ. ნიკოლაოზის დროს სასტიკად დევნიდნენ ქრისტიანებს იმპერატორნი დეოკლიტიანე და მაქსიმილიანე. ის უშიშრად ამხნევებდა ქრისტიანებს და განამტკიცებდა ქრისტეს სარწმუნოებას. ამისთვის ის შესვეს საპყრობილეში, მაგრამ იქაც ამხნევებდა და ანუგეშებდა ქრისტიანებს. როცა კონსტანტინე დიდი გამეფდა, მან გაანთავისუფლა წმ. ნიკოლაოზი და დიდი პატივით დაუბრუნა თვისი ადგილი. წმ. ნიკოლაოზი დაესწრო არიოსის წინააღმდეგ მომხდარ პირველ მსოფლიო კრებას და, რომ გაიგონა არიოსისაგან გმობა ღვთისა, გაარტყა მას ყბაში. კრებამ ეს უწესობად ჩასთვალა და ჩამოართვეს მას მღვდელმთავრის ღირსება, მაგრამ ზოგიერთმა წმიდა მამებმა დაინახეს, რომ წმიდა ნიკოლაოზს თვით ქრისტემ მისცა სახარება და ყოვლად წმიდა ღვთისმშობელმა მხარზე დაადო მას ომფორი — სამღვდელმთავრო მხარზედ სატარებელი შესამოსი და წმ. ნიკოლაოზს ისევ დაუბრუნეს მთავარეპისკოპოსობის ღირსება და მიიჩნიეს ის ღვთის დიდ სათნო მყოფელად. წმ. ნიკოლაოზი მიიცვალა ღრმა მოხუცებულობაში, 6 დეკემბერს, მეოთხე საუკუნის ნახევარში. მის წმ. ნაწილებს მიენიჭა მკურნალობის ძალა. ლიკიის მღვდელმთავარმა დიდძალი ხალხის თანდასწრებით დაასაფლავა ის მირონ ქალაქის საკრებულო ტაძარში. 1587 წლის 9 მაისს წმ. ნაწილნი მისი იქმნენ გადატანილ მირონ ქალაქიდგან ქალაქ ბარს იტალიაში.

„რაჟამს ყოფდე ქველს საქმესა, ნუ სცნობნ მარცხენე შენი, რასა იქმოდეს მარჯვენე შენი; რათა იყოს ქველის საქმე შენი ფარულად, და მამამან შენმან, რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად“ (მათ. 6, 3-4).

წიგნიდან „წმინდანთა ცხოვრება“

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

რედაქტორი ლეილა ცომაია

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით

საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55